ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)“

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით

სარჩევი:

თავი I. 3

თავი II. კრედიტების დაგროვების, სტუდენტთა ცოდნის შეფასების, გამოცდების ჩატარების, აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის წესები 15

თავი III. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები 28

თავი IV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი 34

თავი V. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები 37

თავი VI. სასწავლო კურსიდან ამოწერის, მისი ხელახლა გავლისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანის წესები 43

თავი VII. პლაგიატის თავიდან აცილების და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და მექანიზმები 47

თავი VIII. სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები 50

თავი IX. სტუდენტთა სტიმულირების, ასევე სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, სტიპენდიებისა და ფასდაკლებების განსაზღვრის წესი 58

თავი X. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები 62

თავი I. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა საფეხურისთვის, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების საკითხებს, სტუდენტთა შეფასებისა და აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურებს, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესებს, სტუდენტის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2 უნივერსიტეტი ახორციელებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება წინამდებარე წესის X თავის დებულებებით.

1.3 უნივერსიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და სხვა შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად

§ 1. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესები

მუხლი 2. ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი

2.1 უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (ბაკალავრიატი) საფეხურზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტის სახელოვნებო მიმართულების ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი შემოქმედებითი ტურის/კონკურსის გავლა.

2.2 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამდასტურებელი დოკუმენტი.

2.3 აბიტურიენტი ვალდებულია, სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის

მიმართოს უნივერსიტეტს და წარმოადგინოს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტები.

2.4 უნივერსიტეტში აბიტურიენტთა რეგისტრაციის გავლის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;

2.5 აბიტურიენტთა მიერ რეგისტრაციის გავლისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

2.6 რანჟირების დოკუმენტისა და აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

2.7 აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართავს უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში, უფლებამოსილია, მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ბრძანების გამოცემიდან მომდევნო წლის სექტემბრამდე. ასეთ შემთხვევაში, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

2.8 უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

2.8.1 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

2.8.2 საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

2.8.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.8.4 საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით

ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 3. მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი

3.1. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე (მაგისტრატურა) საფეხურზე ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, მობილობის ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3.2. მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის უნივერსიტეტი ადგენს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას შესაბამის სპეციალობაში, ასევე უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი გამოცდა უცხო ენაში ან/და გასაუბრება.

3.3. მაგისტრანტობის კანდიდატი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/ გამოცდებში/გასაუბრებაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი უნივერსიტეტის მიერ) გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

3.4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების და გასაუბრების გავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3.5. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია გასაუბრება, იგი ტარდება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების ჩატარების შემდგომ. თითოეული სამაგისტრო პროგრამა, ადგენს გამოცდის/გამოცდების ფორმატსა და ქულათა იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის გადალახვის შემთხვევაშიც მაგისტრანტობის კანდიდატი მიწვეული იქნება გასაუბრებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები ჩაეთვლება ჩაბარებულად.

3.6. იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებიც არ ეთანხმებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების ან/და გასაუბრების შედეგებს უფლება აქვთ შედეგების შეტყობინებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტში წარადგინონ საპრეტენზიო განაცხადი.

3.7. მაგისტრანტობის კანდიდატების საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით უნივერსიტეტის რექტორი ქმნის საპრეტენზიო საბჭოს. საპრეტენზიო საბჭოში არ შეიძლება შედიოდნენ ის პირები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.

3.8. უნივერსიტეტი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისა და საპრეტენზიო განაცხადების მიღებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.

3.9. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდებიან მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები და გასაუბრება მიმღებ კომისიასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.10. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის სპეციალობაზე/სპეციალობების სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულისა და მის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/კოეფიციენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, ტესტის ნაწილების ან/ და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

3.11. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტით გათვალისწინებულ პირებსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რექტორის ბრძანებით პირი ირიცხება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე და ენიჭება სტუდენტის სტატუსი.

3.12. მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

3.13. უნივერსიტეტი საერთო სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების შესახებ.

3.14. მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, უნივერსიტეტში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

3.14.1 მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.14.2 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

3.14.3 საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი

საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

3.14.4 კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 4. დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი

უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე (დოქტორანტურის) ხორციელდება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

<u>§ 2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და მობილობის წესი[1]</u>

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები:

5.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

5.1.1 ჯანმრთელობის, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობა;

5.1.2 უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

5.1.3 ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

5.1.4 სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

5.1.5 პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე).

5.2 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, პირადი განცხადების საფუძველზე, შეიჩერებს სტუდენტის სტატუსს, სტუდენტი თავისუფლდება მიმდინარე სემესტრით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან. სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დაფაროს მიმდინარე სემესტრისთვის გათვალისწინებული სწავლის საფასური სრულად, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5.3 სტუდენტის სტატუსის შეჩერების (გარდა ამ მუხლის 5.1.4 პუნქტისა) ან აღდგენის მიზნით, სტუდენტი წარადგენს წერილობით განცხადებას შესაბამისი სკოლის დეკანის/უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი არის წინამდებარე მუხლის 5.1.4 პუნქტით გათვალისწინებული

[1] დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის, დამატებით სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველები შესაძლებელია დადგინდეს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

გარემოება, სტუდენტს სტატუსი აღუდგება შესაბამისი ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ.

5.4 სტუდენტი, რომელსაც სურს აღიდგინოს შეჩერებული სტატუსი, ვალდებულია შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე 14 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი განცხადებით, მიმართოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს/უნივერსიტეტს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, შეჩერებული სტატუსი აღდგენას არ ექვემდებარება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, რა შემთხვევაშიც სტუდენტმა ხელახალი განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს/უნივერსიტეტს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია მიმდინარე სემესტრში წარმოქმნილი ფინანსური დავალიანება.

5.5 სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან/აღდგენასთან დაკავშირებულ განცხადებას დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად. სტუდენტის სტატუსის ცვლილება ფიქსირდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტუდენტთა ერთიან რეესტრში.

5.6 სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რომლის შემდეგაც სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.7 იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეცვლილი გარემოებები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური, შეჩერებული სტატუსის აღდგენის შემდეგ, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების/არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების საფუძველზე.

5.8 სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5.9 იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე, გაუქმებულია ან შეცვლილია მისანიჭებელი კვალიფიკაცია ან/და პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შიდა მობილობით და სწავლა გააგრძელოს შესაბამისი საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო და ინდივიდუალური გადახდის გრაფიკი

6.1 სტუდენტს, რომელიც ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდისთვის დადგენილ ვადას გადააცილებს, შეუჩერდება სტუდენტის აქტიური სტატუსი, არაუგვიანეს ვადაგადაცილებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.2 სწავლის საფასურის გადახდისთვის დადგენილი ვადის გადაცილებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა, უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს, მიაწვდის ინფორმაციას სტუდენტის პირადი მონაცემებისა და დავალიანების შესახებ.

6.3 ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება რექტორის ბრძანებით. სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ახორციელებს საქმისწარმოების მენეჯერი.

6.4 სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული აქვს აქტიური სტატუსი:

6.4.1. აქტიური სტატუსის აღდგენამდე არ დაიშვება სასწავლო პროცესში;

6.4.2. უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში დაუფიქსირდება გაცდენა;

6.4.3. შეფასებას არ დაექვემდებარება სტატუსის შეჩერების პერიოდში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტ(ებ)ი.

6.5 სტუდენტმა, რომელსაც სურს ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობა, განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურს, გადახდის ვადის დადგომამდე არაუგვიანეს 14 კალენდარული დღით ადრე.

6.6 სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ უნივერსიტეტის ფინანსური სამსახური, გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტის მომართვიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

6.7 დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება 6.5 პუნქტში მითითებული ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება.

6.8 სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი სასწავლო წლისთვის სწავლის საფასურის გადახდის ვადა დამამთავრებელი სასწავლო წლის სტუდენტებისთვის არ უნდა სცდებოდეს მიმდინარე სასწავლო წლის 1 ივნისს, ხოლო დანარჩენი სტუდენტებისთვის - 30 ივნისს.

6.9 სწავლის საფასურის დავალიანების საფუძველზე სტუდენტის შეჩერებული სტატუსი აღდგენას ექვემდებარება შესაბამისი დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები:

7.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

7.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

7.2. სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;

7.3. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

7.4. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა;

7.5. უნივერსიტეტის რეპუტაციასა და მისი კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება;

7.6. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიერ ერთსა და იმავე სავალდებულო სასწავლო კომპონენტში 3 (სამი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;

7.7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტში 2 (ორი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;

7.8. პირადი განცხადება;

7.9. გარდაცვალება.

7.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რაც წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლის საფუძველს. აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებებისგან.

7.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, რა ვადაშიც სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პირი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

7.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.5. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ 2006 წლიდან 2015 წლის პერიოდში, არ სარგებლობენ სტუდენტის აქტიური სტატუსით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ექნებათ დასრულებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 8. სტუდენტის მობილობის წესი

8.1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად.

8.2. მობილობა (მათ შორის შიდა მობილობა) შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

8.3. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

8.4. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის სტუდენტის მობილობის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5. მობილობის განხორციელება შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა), ასევე სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.

8.6. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

8.7. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის 8.6 პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის

მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, დაწესებულებას შეეზღუდა სტუდენტთა მიღების უფლება ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

8.8. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გამოცხადებულ მობილობაში უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სკოლის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ინფორმაცია მობილობაში მონაწილე საგანმანათლებლო პროგრამებისა და გამოცხადებული ადგილების შესახებ მიეწოდება საქმისწარმოების მენეჯერს შესაბამის პორტალზე/საკომუნიკაციო არხებზე ასახვის მიზნით.

8.9. მობილობის პროცესის ადმინისტრირების მიზნით უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ადგენს ვადას მობილობის (მათ შორის შიდა მობილობის) წესით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის შესახებ. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით დაწესებულებას ჩარიცხვის შესახებ, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მობილობის წესით (მათ შორის შიდა მობილობის წესით) სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა გულისხმობდეს შიდა გამოცდას, დოკუმენტაციის განხილვას ან/და გასაუბრების გავლას.

მუხლი 9. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

9.1. აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

9.2. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, შეისწავლის მობილობის წესით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებული პირის მიერ, იმ უნივერსიტეტში/საგანმანათლებლო პროგრამაზე გავლილ სასწავლო კურსებსა და დაგროვებულ კრედიტებს, რომელშიც ირიცხება და ადგენს მათ თავსებადობას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

9.3. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების და შინაარსის ანალიზის შედეგად.

9.4. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი მობილობის წესით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირს აცნობებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მათთვის გავლილი სასწავლო კურსებსა და დაგროვებული კრედიტების აღიარების შესახებ.

9.5. აღიარებული კრედიტის რაოდენობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავს, თუ რომელი სემესტრიდან შეუძლია მობილობის წესით გადმომსვლელ პირს სწავლის გაგრძელება.

9.6. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მობილობის წესით გადმომსვლელ პირს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რის შესახებაც მას უნდა ეცნობოს წინასწარ.

9.7. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულმა პირმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ იგი თანახმაა უღიარდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და კრედიტები.

9.8. თუ სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსის კრედიტი აღემატება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისად მიჩნეული სასწავლო კურსის კრედიტს, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი.

9.9. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისად მიჩნეულ სასწავლო კურსის კრედიტზე, სტუდენტის მიერ გავლილ საგანს უნდა მიენიჭოს უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული კრედიტი.

9.10. თუ სხვა უსდ იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ შეფასების სხვა სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემასთან (ECTS).

9.11. თუ სხვა უსდ იყენებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული სწავლის შეფასებისგან განსხვავებულ სისტემას, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის უნივერსიტეტში მოქმედი, დოკუმენტურად დადასტურებული, შეფასების სისტემის თავსებადობა 100 ქულიან შეფასების სისტემასთან. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სტუდენტის შეფასება/შეფასებები განიხილება ინდივიდუალურად სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე და უნივერსიტეტი ადგენს მათ თავსებადობას 100 ქულიან სისტემასთან.

9.12. საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით სწავლის გაგრძელების მსურველ პირსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.

9.13. თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

9.14. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დოკუმენტურად (უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFEL, IELTS და სხვა), შიდა ტესტირება და სხვა) უდასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის სავალდებულო კომპონენტის შესაბამისი დონე, იგი თავისუფლდება აღნიშნული სასწავლო კომპონენტის გავლის ვალდებულებისგან, ამასთან, მან უცხო ენის კომპონენტით გათვალისწინებული კრედიტი უნდა დააგროვოს სხვა არჩევითი სასწავლო კურსის გავლით.

9.15. წინამდებარე მუხლის 9.14 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს იხილავს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი უცხო ენის კომპონენტის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 10. სტუდენტის შიდა მობილობის წესი

10.1 უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ, რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტი.

10.2 შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. სტუდენტს შეუძლია შიდა მობილობით გადავიდეს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობებსაც იგი აკმაყოფილებს.

10.3 შიდა მობილობაში საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სკოლის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ინფორმაცია შიდა მობილობაში მონაწილე საგანმანათლებლო პროგრამებისა და გამოცხადებული ადგილების შესახებ მიეწოდება უნივერსიტეტის რექტორს შესაბამის ბრძანებაში ასახვის მიზნით.

10.4 სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა პირადი სურვილის ან პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. აღნიშნული მიზნით, სტუდენტი მიმართავს განცხადებით იმ სკოლის დეკანს, რომლის სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც სურს გადასვლა და წარადგენს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) .

10.5 სტუდენტი, რომელსაც სურს შიდა მობილობით სარგებლობა, ვალდებულია სრულად დაფაროს უნივერსიტეტის მიმართ არსებული ფინანსური დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.6 შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება წინამდებარე წესის მე-9 მუხლის 9.1-9.3 პუნქტების შესაბამისად.

10.7 საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით სწავლის გაგრძელების მსურველ პირსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ.

მუხლი 11. სტუდენტის მობილობის შემთხვევაში სწავლის საფასურის დაანგარიშების წესი

11.1 სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში, სწავლის საფასური დაანგარიშდება შემდეგი წესის შესაბამისად: უნივერსიტეტის მხრიდან მობილობით/შიდა მობილობით გადმომსვლელი სტუდენტისთვის აღიარებული კრედიტების ჯამი აკლდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ჯამს. მიღებული სხვაობა მრავლდება შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ერთი კრედიტის საფასურზე. ერთი კრედიტის საფასური დაანგარიშდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის ჯამური საფასურის (აკადემიური პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად) გაყოფით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობაზე.

თავი II. კრედიტების დაგროვების, სტუდენტთა ცოდნის შეფასების, გამოცდების ჩატარების, აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის წესები

§ 1. კრედიტების დაგროვებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

მუხლი 12. ტერმინთა განმარტება

12.1 ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

12.1.1 კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას გამოხატულს დროის ერთეულში-საათებში და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

12.1.2 საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

12.1.3 დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

12.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

12.1.5 სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

12.1.6 სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით;

12.1.7 სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

12.1.8 სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა);

12.1.9 შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

12.1.10 შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების შექმნა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა);

12.1.11 შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვა);

12.1.12 შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

12.2 სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

12.2.1 ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

12.2.2 დამოუკიდებელ მეცადინეობას;

12.2.3 სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;

12.2.4 გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

12.2.5 სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებს.

12.3 სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი:

12.3.1 სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

12.3.2 სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

12.3.3 სასწავლო (აკადემიური) წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.

12.3.4 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს.

მუხლი 13. საკრედიტო სისტემა

13.1 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60

კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

13.2 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

13.3 კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის (გარდა დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა) და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს.

13.3.1 სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

13.3.2 ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს.

13.3.3 კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

13.3.4 კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგისა და მიზნების მისაღწევად.

13.3.5 უნივერსიტეტში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობის, მიზნებისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

მუხლი 14. სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში

14.1 სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

14.2 სასწავლო კომპონენტის დაწყებისთანავე, ლექტორი ვალდებულია სტუდენტს მიაწოდოს სილაბუსი, სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდი და შეფასების კომპონენტები, ასევე ის, თუ როდის და რა სახით ჩატარდება შუალედური და ფინალური შეფასება/შეფასებები და უნივერსიტეტის საერთო მარეგულირებელი აქტებით სილაბუსისთვის დადგენილი სხვა კომპონენტები.

14.3 შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს რაოდენობრივი მაჩვენებელი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში.

14.4 სასწავლო კომპონენტში დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასებების/გამოცდების ქულების დაჯამებით,

სტუდენტს უგროვდება 51 ან მეტი ქულა, მაგრამ მას დასკვნით გამოცდაში/შეფასებაში არ აქვს გადალახული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არ ენიჭება კრედიტი და უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

14.5 შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

14.6 შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

14.7 სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია სტუდენტს მიაწოდოს უკუკავშირი სწავლის შედეგების მიღწევის, მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეებისა და მიღებული შეფასების შესახებ.

14.8 შეფასების შუალედურ და დასკვნით ფორმებში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

14.9 აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინდივიდუალურად 20%-იდან 50%-ის ფარგლებში.

14.10 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

14.11 შეფასების სისტემა უშვებს:

14.11.1 ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

14.11.2 ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (Fx) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

14.12 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში Fx-ის მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

14.13 სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით

შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

14.15 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

14.6 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

მუხლი 15. სტუდენტთა შეფასება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში

15.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დაადგინოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების ვადები. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

15.2. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, დისერტაცია ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით.

15.3. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი ფასდება ამ წესის მე-14 მუხლის 14.11 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.

15.4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის მე–14 მუხლის 14.11.2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო მე-14 მუხლის 14.11.2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

15.5. დოქტორანტურის საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი განსაზღვრავს, ხოლო მაგისტრატურის საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - უფლებამოსილია განსაზღვროს სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესიის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს.

მუხლი 16. დოქტორანტურის საფეხურზე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა

16.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემას წარმოადგენს:

16.1.1. ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

16.1.2. ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

16.1.3. კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

16.1.4. საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

16.1.5. დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

16.1.6. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

16.1.7. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

16.2 უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის 16.1 პუნქტით განსაზღვრული შეფასების სისტემა შეუსაბამოს ქულობრივ მაჩვენებლებს.

16.3 არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. ამ მიზნით, მას უფლება აქვს დისერტაციის შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში დასაბუთებული განცხადებით მიმართოს პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.

16.4 სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლებას.

მუხლი 17. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA)

17.1. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება.

17.2. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე.

17.3. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

17.3.1. A = 4;

17.3.2. B = 3, 2;

17.3.3. C = 2, 4;

17.3.4. D = 1, 6;

17.3.5. E = 0, 8.

§ 2. საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 18. რეგულირების სფერო და მიზანი

18.1. წინამდებარე პარაგრაფი არეგულირებს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ფარგლებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების/შეფასების ჩატარების წესს და უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

18.2. წინამდებარე წესის მიზანია უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი პროცედურით შუალედური და დასკვნითი გამოცდების/შეფასების ორგანიზება და ჩატარება.

18.3. გამოცდის/შეფასების მიზანია სტუდენტის ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, ასევე სტუდენტის მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების უნარების შემოწმება, რაც ერთი მხრივ, ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ხოლო მეორე მხრივ, ემსახურება შეფასების პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

მუხლი 19. სტუდენტთა შეფასების პრინციპები

19.1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შესაფასებლად საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

19.2. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისება (რომელშიც შედის შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა) უნდა შეფასდეს 100-ქულიანი სისტემით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19.3. დასკვნითი გამოცდის/შეფასების ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შეფასების 40%-ს.

მუხლი 20. გამოცდის/შეფასების სახეები

20.1. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახის ზეპირი ან წერითი გამოცდა/შეფასება:

20.1.1. წერითი გამოცდა/შეფასება აუდიტორიაში, რომლის დროსაც სტუდენტს ეკრძალება ნებისმიერი დამატებითი მასალის გამოყენება (თუ ეს არ არის წინასწარ ნებადართული ლექტორის მიერ) და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 საათს;

20.1.2. ზეპირი გამოცდა/შეფასება, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის ზეპირი გამოკითხვა;

20.1.3. ჯგუფური/ინდივიდუალურ პრეზენტაცია/პროექტის წარდგენა;

20.1.4. გამოცდა/შეფასება, რომელიც ატარებს საშინაო დავალების ხასიათს;

20.1.5. ესსე - გამოცდა, რომლის დასაწერადაც სტუდენტს ეძლევა განსაზღვრული ვადა ლექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად;

20.1.6. ტესტირება - ე. წ. შეკითხვები მრავლობითი პასუხების არჩევანით.

20.1.7. კომპიუტერული სიმულაციები;
20.1.8. კომბინირებული გამოცდები და სხვა.

მუხლი 21. გამოცდის/შეფასების ჩატარების ვადები და პროცედურა

21.1. გამოცდის/შეფასების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გამოცდის/შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა უნდა შეათანხმოს შესაბამის აკადემიური და მოწვეული პერსონალთან გამოცდის ჩატარების ადგილი და დრო. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია წინამდებარე პუნქტით დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს მიაწოდოს ინფორმაცია გამოცდის/შეფასების ჩასატარებლად საჭიროს ტექნიკური საშუალებების შესახებ.

21.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია წერითი გამოცდის/შეფასების შემთხვევაში შეიმუშაოს ერთზე მეტი საგამოცდო ვარიანტი და მიაწოდოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს.

21.3. წერითი გამოცდის ნიმუშების გამრავლებასა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული საკითხების ორგანიზებას უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი.

მუხლი 22. გამოცდის/შეფასების მიმდინარეობა

22.1. გამოცდის/შეფასების პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორი ან შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი (შემდგომში გამოცდაზე დამკვირვებელი პირი).

22.2. წერითი გამოცდის/შეფასების დაწყების და დასრულების დრო, წინასწარ არის განსაზღვრული, რომლის ამოწურვის შემდეგ, უკლებლივ ყველა სტუდენტი აბარებს ნაწერს ლექტორს ან გამოცდაზე დამკვირვებელი პირის. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის ნაშრომი აღარ მიიღება და მას კონკრეტულ გამოცდაში/შეფასებაში გაუფორმდება 0 ქულა.

22.3. დაუშვებელია სტუდენტის მიერ გამოცდაზე/შეფასებაზე 20 წუთზე მეტი დროით დაგვიანება, რის შემდეგაც სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე/შეფასებაზე. დაშვებულ ფარგლებში დაგვიანების შემთხვევაში, სტუდენტს არ გაუგრძელდება გამოცდისათვის/შეფასებისთვის დადგენილი დრო.

22.4. გამოცდაზე/შეფასებაზე კატეგორიულად იკრძალება გადაწერა ნებისმიერი მასალის გამოყენებით (თუ ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული ამ მასალის გამოყენება) ან გადაწერაში დახმარება. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან/შეფასებიდან და გაუფორმდება 0 ქულა.

22.5. გამოცდის/შეფასების მსვლელობისას დაუშვებელია საუბარი, გადალაპარაკება, აუდიტორიის უნებართვოდ დატოვება, ყველა სტუდენტი ვალდებულია გამორთოს მობილური ტელეფონი და დატოვოს მობილური ლექტორის ან გამოცდაზე დამკვირვებელი პირის მითითებულ, გამოყოფილ ადგილზე (ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი

ვალდებულია დატოვოს გამოცდა/შეფასება, რის საფუძველზე მას გაუფორმდება 0 ქულა.

22.6. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს ლექტორის ან გამოცდაზე დამკვირვებელი პირის გადაწყვეტილებას მისი გამოცდიდან/შეფასებიდან მოხსნის თაობაზე.

22.7. ლექტორი ან გამოცდაზე დამკვირვებელი პირი ვალდებულია გამოცდის/შეფასების დაწყებამდე სტუდენტებს აცნობოს გამოცდის მიმდინარეობის პროცედურები და პროცედურების დარღვევის შემთხვევაში მათზე რეაგირების მექანიზმები.

მუხლი 23. გამოცდის აღდგენის პროცედურა

22.8. დაუშვებელია შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის (შემდგომში გამოცდა) გაცდენა, გამოცდის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს უფიქსირდება 0 ქულა შესაბამის კომპონენტში.

22.9. იმ შემთხვევაში თუ, სტუდენტი საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება გამოცდას, მან გამოცდის ჩატარების დღიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს/პროგრამის ხელმძღვანელის სახელზე წერილობითი განცხადება წარუდგინოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს და თან დაურთოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

22.10. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი წარმოდგენილ განცხადებას და მასზე თან დართულ დოკუმენტაციას შეისწავლის მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში და შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

22.11. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადება დაკმაყოფილდა და მას გაცდენა ჩაეთვალა საპატიოდ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი სასწავლო კურსის ლექტორთან შეთანხმებით ნიშნავს ხელახალი გამოცდის თარიღს.

22.12. ხელახალი გამოცდის საკითხები არ უნდა იყოს უკვე ჩატარებული გამოცდის იდენტური.

22.13. დაუშვებელია ერთი და იგივე გამოცდის გაცდენა ზედიზედ ორჯერ, გაცდენის მიზეზის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს გაუფორმდება 0 ქულა შეფასების კომპონენტში.

22.14. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადება არ დაკმაყოფილდება, მას უფიქსირდება 0 ქულა შესაბამის კომპონენტში. მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 24. გამოცდის/შეფასების შედეგების გასაჩივრება

24.1. ლექტორი ვალდებულია გამოცდის/შეფასების შედეგი ასახოს უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (PORTAL.GIPA.GE) გამოცდის/შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

24.2. გამოცდის/შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება შესაბამისი სკოლის დეკანის სახელზე დასაბუთებული წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

24.3. შესაბამისი სკოლის დეკანი, სტუდენტის წერილობითი განცხადების მიღებიდან, 2 სამუშაო დღის ვადაში, შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, დეკანი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი მიღებულ შეფასებას. დადგენილ ვადაში სტუდენტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეკანი უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

24.4. წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი სკოლის დეკანი განსაზღვრავს იმ ლექტორს, ექსპერტთა ჯგუფს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლოს და ხელახლა შეაფასოს სტუდენტის ნაშრომი ან ზეპირი გამოცდის/შეფასების შემთხვევაში, ჩაატაროს განმეორებითი გამოცდა/შეფასება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ლექტორისთვის, ექსპერტთა ჯგუფისთვის ან დარგის სხვა ექსპერტისთვის სტუდენტის ნაშრომის იმ ფორმით გადაცემას, რომ მისთვის/მათთვის უცნობი იყოს მიღებული შეფასება და სტუდენტის ვინაობა.

24.5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნაშრომის განხილვის შემთხვევაში, თითოეული ექსპერტი ინდივიდუალურად აფასებს გასაჩივრებულ ნაშრომს და საბოლოო ქულა გამოითვლება ჯგუფის წევრთა მიერ დაწერილი შეფასებების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. სტუდენტის ნაშრომის ხელახლა შეფასების შედეგად მიღებული ქულა საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

24.6. შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია, ვალდებულია, სტუდენტის ნაშრომი, რომელიც ექვემდებარება შეფასებას, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეინახოს ნაშრომის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე.

მუხლი 25. სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასების გასაჩივრება

25.1. მაგისტრანტი, რომელიც არ ეთანხმება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს და გაასაჩივროს სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასება.

25.2. შესაბამისი სკოლის დეკანი, მაგისტრანტის წერილობითი განცხადების მიღებიდან, 2 სამუშაო დღის ვადაში, შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, დეკანი უფლებამოსილია მოსთხოვოს მაგისტრანტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას. დადგენილ ვადაში მაგისტრანტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეკანი უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

25.3. წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი სკოლის დეკანი განსაზღვრავს სააპელაციო კომისიას, რომელიც შედგება არანაკლებ სამი დარგობრივი კომპეტენციის მქონე წევრისგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის პირი, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ან შეფასების პროცესში. სააპელაციო კომისია ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლოს და ხელახლა შეაფასოს სამაგისტრო ნაშრომი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სააპელაციო კომისიის წევრთათვის სამაგისტრო ნაშრომის იმ ფორმით გადაცემას, რომ მათთვის უცნობი იყოს მიღებული შეფასება და მაგისტრანტის ვინაობა.

25.4. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წერით კომპონენტს, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისთვის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. სააპელაციო კომისიის მიერ ზეპირი კომპონენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრთა ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების საფუძველზე.

25.5. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის შეფასება აღემატება რეცენზენტის შეფასებას, შესაბამისი სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ხელახალი თარიღი.

25.6. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წერითი კომპონენტის საბოლოო შეფასება არ აღემატება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასებას, ზეპირი კომპონენტის განმეორებითი შეფასება არ ხდება და უცვლელი რჩება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება.

25.7. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ დასკვნითი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ზეპირ კომპონენტს, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

25.8. სააპელაციო კომისიის მიერ ზეპირი კომპონენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრთა ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების საფუძველზე.

25.9. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასება მიიღება წერითი და ზეპირი კომპონენტების საბოლოო შეფასებების და შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომისთვის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების/პროპორციის გათვალისწინებით.

მუხლი 26. სადისერტაციო ნაშრომის გასაჩივრება

26.1 სადისერტაციო ნაშრომის გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 27. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრება

27.1. სტუდენტს უფლება აქვს წერილობითი განცხადების გზით, გაასაჩივროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

27.2. წინამდებარე მუხლის 27.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრს, რომელიც შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად იწყებს საკითხის შესწავლასა და ახდენს მასზე რეაგირებას.

მუხლი 28. აკადემიური ხარისხის მინიჭება

28.1. უნივერსიტეტის ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპონენტების დასრულების/კრედიტების ათვისების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი.

28.2. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, დოქტორანტურის საგანმანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აკადემიურ ხარისხის ანიჭებს შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო.

28.3. კურსდამთავრებულისთვის მინიჭებულ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი.

28.4. კურსდამთავრებულის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლებად მის სახელზე აგრეთვე გაიცემა დიპლომის დანართი.

მუხლი 29. დიპლომისა და დიპლომის დანართის ხელახლა დამზადება

29.1 უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომის ან/და დიპლომის დანართის დაკარგვის, დაზიანების ან სხვაგვარი ხელყოფის შემთხვევაში, კურსდამთავრებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მიმართოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის ხელახლა დამზადების თხოვნით. აღნიშნულ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, წარადგინოს დიპლომის ან/და დიპლომის დანართის ხელახლა დამზადების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. დიპლომის ხელახლა დამზადების საფასური შეადგენს 100 ლარს, დიპლომის დანართის ხელახლა დამზადების საფასური შეადგენს 100 ლარს.

29.2 კურსდამთავრებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი თავისუფლდება დიპლომის ან/და დიპლომის დანართის ხელახლა დამზადების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან შემდეგ შემთხვევებში:

29.2.1. დიპლომში ან/და მის დანართში არსებული მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან არასწორად არის მითითებული, რა შემთხვევაშიც, კურსდამთავრებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, წარმოადგინოს ხარვეზის მქონე დოკუმენტი.

29.2.2. დიპლომის ან/და დიპლომის დანართის ხელახლა დამზადება განპირობებულია აღნიშნულ დოკუმენტებში არსებული სხვა ხარვეზით, რომელიც უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს წერილობითი დასკვნით.

მუხლი 30. ძირითადი/სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი/საგანი

30.1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი/სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების/საგნების სახით. სტუდენტი ვალდებულია გაიაროს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ძირითადი/სავალდებულო სასწავლო კურსი/საგანი.

30.2. არჩევითი სასწავლო კურსი/საგანი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს, როგორც სტუდენტის მიერ არჩეულ სპეციალობაში ცოდნის გაფართოებაზე/გაღრმავებაზე, ასევე ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. არჩევით სასწავლო კურსს/საგანს სტუდენტი ირჩევს საკუთარი შეხედულებისამებრ მისთვის საინტერესო სფეროში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

30.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტს შესაძლებელია უფლება ჰქონდეს არჩევითი სასწავლო კურსი/საგანი აირჩიოს, როგორც იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებიდან, რომელზეც იგი ირიცხება, ასევე შესაბამისი საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი/სავალდებულო ან/და არჩევითი სასწავლო კურსებიდან/საგნებიდან (თუკი მის მიერ არჩეულ სასწავლო კურსს/საგანს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული არ აქვს სხვა სასწავლო კურსის/საგნის სავალდებულო წესით გავლა).

30.4. უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე არჩევითი სასწავლო კურსის/საგნის გახსნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არჩევით სასწავლო კურსზე/საგანზე დარეგისტრირდება არანაკლებ 10 (ათი) სტუდენტი.

30.5. იმ შემთხვევაში თუ, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის ERASMUS + -ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას აგრძელებს უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, არჩევითი სასწავლო კურსის/საგნის გახსნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არჩევით სასწავლო კურსზე/საგანზე დარეგისტრირდება არანაკლებ 8 (რვა) სტუდენტი.

30.6. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ან სხვა ობიექტური გარემოების გათვალისწინებით, შესაბამისი სკოლის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უფლებამოსილია არჩევითი სასწავლო კურსის/საგნის გახსნის წინაპირობად დაადგინოს წინამდებარე მუხლის 30.4 და 30.5 პუნქტებისგან განსხვავებული მოთხოვნები.

თავი III. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები

მუხლი 31. ზოგადი დებულებები

31.1. წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების, დამტკიცების, ასევე, არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი გაუქმების წესსა და პროცედურებს.

31.2. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებას.

მუხლი 32. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება და შემდგომ ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაცია

32.1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტში დასაქმებული პირის ან/და სხვა დაინტერესებული პირის მიერ.

32.2. უნივერსიტეტში დასაქმებულმა პირმა/სხვა დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც სურს უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება და განხორციელება, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის შესახებ ინიციატივა, განსახილველად უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორატთან არსებულ სათათბირო ორგანოს - რექტორატს.

32.3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ ინიციატივის წარმოდგენის საწყის ეტაპზე ხდება მისი შესაბამისობის დადგენა უნივერსიტეტის მისიასთან და უნივერსიტეტში უკვე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, საგანმანათლებლო პროგრამებს შორის შესაძლო გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით. უნივერსიტეტის სკოლების დეკანებმა უნდა წარმოადგინონ სკოლის პოზიცია უკვე არსებულ პროგრამებთან მიმართებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლო გადაფარვის შესახებ.

32.4. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ ინიციატივა სავალდებულო სახით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

32.4.1. საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის საჭიროების დასაბუთებას;

32.4.2. ზოგად კონცეფციას: საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და ხედვას მიზნების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის ზოგადი სტრუქტურის შესახებ;

32.4.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ, მატერიალურ რესურსსა და მათი მოზიდვის ხედვას;

32.4.4. საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა საორიენტაციო რაოდენობას და ხედვას მათი მოზიდვის შესახებ;

32.4.5. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საორიენტაციო საფასურს.

32.5. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ ინიციატივა, შესასწავლად გადაეცემათ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/ფინანსურ სამსახურსა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, წერილობითი ფორმით, რექტორატს წარუდგენენ დასკვნას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

32.6. წინამდებარე მუხლის 32.5 პუნქტის საფუძველზე მომზადებული დასკვნების გათვალისწინებით, რექტორატი განიხილავს წარმოდგენილ ინიციატივას და იღებს გადაწყვეტილებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის წინამდებარე მუხლის 32.3 და 32.4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის შესახებ.

32.7. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის წინამდებარე მუხლის 32.3 და 32.4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, რექტორატი იღებს გადაწყვეტილებას ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის შემდეგ ეტაპზე გადასვლის შესახებ. ასევე, რექტორატის მიერ განისაზღვრება პირ(ებ)ი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შემდგომ ეტაპზე ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოდგენაზე.

32.8. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატივის წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემდგომ, არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში დაინტერესებულმა პირმა/ინიციატორმა წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

32.8.1. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვისა და შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულების მოთხოვნის საჭიროება. ასევე, ის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები რომელსაც დამსაქმებლები უყენებენ მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირს.

32.8.2. ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური/მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი, რომლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კონკურენტუნარიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ იმავე ან მსგავს პროგრამებთან მიმართებით; ასევე, რამდენად ითვალისწინებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა იმ ტენდენციებს რომელიც მსგავს პროგრამებთან მიმართებით არსებობს და რა არის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობა.

32.8.3. პრაქტიკის ობიექტების/პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი (არანაკლებ 5 ორგანიზაციისა), რომლებთან თანამშრომლობითაც იგეგმება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;

32.8.4. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პოტენციურად ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაცია.

32.8.5. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის პროექტი (წინასწარ განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით), რომლის საფუძველზეც დადგინდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა და მის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის არსებობა ან/და დამატებითი რესურსის მოზიდვის საჭიროება;

32.8.6. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური ან/და სხვა ტიპის აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია;

32.8.7. დასაბუთება ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაგეგმილი სტუდენტების საჭირო რაოდენობის მოზიდვის შესახებ.

32.9 რექტორატი უფლებამოსილია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებულ პირს/ინიციატორს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპზე განუსაზღვროს დამატებით სხვა დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა.

32.10 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციული მენეჯერი/ფინანსური სამსახური, და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი უფლებამოსილია დაინტერესებული პირის მიერ წინამდებარე მუხლის 32.8.1-32.8.7 და 32.9 პუნქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხარვეზის დადგენის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს/ინიციატორს მოსთხოვოს ხარვეზის გამოსწორება ან/და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა და განუსაზღვროს დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ დადგინდება ხარვეზი, ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიმუშავებენ სარეკომენდაციო დასკვნას და განსახილველად წარუდგენენ რექტორატს.

32.11 წინამდებარე მუხლის 32.8.1-32.8.7 და 32.9 პუნქტებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული რომელიმე დოკუმენტაციის ან/და მასში დაფიქსირებული ხარვეზის გამოუსწორებლობის ან/და დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა, შესაძლებელია, გახდეს უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი.

32.12 დაინტერესებული პირი/ინიციატორი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს რექტორატს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გახანგრძლივების შესახებ.

32.13 რექტორატი წინამდებარე მუხლის 32.8.1-32.8.7 და 32.9 პუნქტებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და 32.10 პუნქტით გათვალისწინებული სარეკომენდაციო დასკვნების შესწავლის საფუძველზე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმზე/შინაარსზე მუშაობის დაწყების შესახებ იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას.

მუხლი 33. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი/შინაარსი

33.1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმზე/შინაარსზე მუშაობის პროცესში შესაბამისი სკოლის აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად ჩართულები არიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პოტენციური დამსაქმებლები, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და საჭიროებისამებრ სხვა დაინტერესებული პირები.

33.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმზე/შინაარსზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების დანართი N3-ით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დადგენილი აკრედიტაციის სტანდარტები და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

33.3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი/შინაარსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

33.3.1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

33.3.2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;

33.3.3. სწავლების ენა;

33.3.4. უმაღლესი განათლების საფეხური;

33.3.5. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

33.3.6. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

33.3.7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;

33.3.8. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;

33.3.9. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

33.3.10. სწავლება-სწავლის მეთოდები;

33.3.11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

33.3.12. დასაქმების სფერო;

33.3.13. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

33.3.14. ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ;

33.3.15. საგნობრივი დატვირთვა/სასწავლო გეგმა - საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო და კვლევითი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპონენტების განაწილება და ყველა სავალდებულო, არჩევითი და სავალდებულო არჩევითი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კომპონენტის სილაბუსები;

33.3.16. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და ადამიანური რესურსების შესახებ (პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები);

33.3.17. ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ;

33.4 საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის/შინაარსის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომლის დადებითი

დასკვნა სავალდებულოა საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განხორციელებისათვის.

მუხლი 34. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

34.1. შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად, განიხილავს და მოწონების შემთხვევაში, წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომლის რეკომენდაციის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

34.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ან საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანიზაციას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიღების მიზნით.

34.3. აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ან საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანიზაციას მიერ ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი/შესაბამისი სკოლა იწყებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

მუხლი 35. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

35.1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებითა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით (სტუდენტი, კურსდამთავრებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები და სხვა) პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას.

35.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, მისი შემდგომი გაუმჯობესების/განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს/რჩევებს, რომელსაც განსახილველად წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს/შესაბამისი სკოლის დეკანს, რომელიც აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს.

35.3. საგანმანათლებლო პროგრამაში შესატანი ცვლილების საფუძველი შეიძლება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები/რჩევები, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები/რჩევები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის მონაცემები და სხვა.

35.4. საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების ანალიზისა და პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მუხლი 36. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

36.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს მისი შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები ან/და არაეფექტურობა, როგორიცაა მაგალითად საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ დაბალი ინტერესი, მისი შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა.

36.2. წინადადება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ განიხილება შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც იღებს სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განხორციელების შესახებ.

36.3. სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული სარეკომენდაციო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

36.4. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა უქმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

36.5. წინამდებარე მუხლის 36.1 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების ანალიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, რექტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან კონსულტაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამას გაუქმების შესახებ.

36.6. რექტორის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

36.7. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება მობილობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით არ მოხდება პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანა.

თავი IV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

მუხლი 37. წესის რეგულირების სფერო და მიზნები

37.1.ეს წესი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, (ასევე სხვა საჭიროების შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების/მოდიფიცირების ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის და საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

37.2.ამ წესის მიზანია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის სათანადო პირობების შექმნა.

მუხლი 38. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაგეგმვა

38.1.შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტი (შემდგომში - შშმპ) არის სტუდენტი, მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში და რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია.

38.2.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი არის პირი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით და საგანმანათლებლო პროგრამით/სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სჭირდება წინასწარ დაგეგმილ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებისგან განსხვავებული დრო. ასევე, პირი, რომლისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია.

38.3.შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.

38.4.შშმპ-ის/მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საჭიროების მქონე გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

38.5.შშმპ-ს სპეციალურ საჭიროებებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შესაბამისი სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში,

მოწვეული ექსპერტების), ასევე შშმპ-ს/მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით, შეიმუშავებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ინკლუზიის კოორდინატორთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტში არსებული და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით.

38.6. შშმპ-სთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

38.7. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის საჭიროებებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან წინამდებარე მუხლის 38.5 პუნქტით გათვალისწინებული პირები.

38.8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა და შესაბამისობა შშმპ-ის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საჭიროებებთან.

38.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას უნივერსიტეტი ახორციელებს შესაბამისი საჭიროებების მქონე სტუდენტების ჩართულობით, ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე მუშაობის პროცესი შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველ ორგანიზაციები/ასოციაციები (მათ შორის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირები, შშმპ ასოციაციები და სხვა), აღნიშნულ ორგანიზაციებთან კონსულტაციების/მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი სასწავლო კურსისა და სწავლების მეთოდების მოდიფიცირება.

38.10. უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა.

38.11. უნივერსიტეტი იმ სასწავლო ჯგუფისთვის, რომელშიც ირიცხება შშმპ სასწავლო პროცესის დაგეგმვას ახორციელებს ცხრილის და აუდიტორიების გამოყენების განრიგის იმგვარად შედგენით და ამ ჯგუფის იმ საუნივერსიტეტო კამპუსში ან მის ნაწილში განთავსებით, რომელიც მაქსიმალურადაა ადაპტირებული შშმპ-ების საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათთვის წვდომას განათლების მიღებისთვის აუცილებელ ყველა რესურსზე (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბი, საპირფარეშო და ა.შ.).

38.12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ასევე შესაძლებელია:

38.12.1. უნივერსიტეტში მობილობით გადმოსული სტუდენტისთვის;

38.12.2. სტატუს აღდგენილი სტუდენტისთვის;

38.12.3. სხვა ინდივიდუალურ შემთხვევაში.

მუხლი 39. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

39.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

39.2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

39.3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

მუხლი. 40 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება

40.1. შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსახილველად წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ინკლუზიის კოორდინატორს (იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მორგებულია შშმ და სსსმ პირების მოთხოვნებზე).

40.2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ინკლუზიის კოორდინატორის მიერ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დასკვნასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება შესაბამისი სკოლის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 41. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების განხორციელება

41.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ამოქმედების შემდეგ, მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

41.2. ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გარე შეფასება, სტუდენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა.

თავი V. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

მუხლი 42. რეგულირების სფერო და მიზნები

42.1. ეს წესი ადგენს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტის) სტუდენტთა უფლებებსა და მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.

42.2. ამ წესის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშესაწყობად ქმედითი მექანიზმების შექმნა.

მუხლი 43. სტუდენტის უფლებები

43.1. ყველა ის პირი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სარგებლობს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსით.

43.2. ყველა სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.

43.3. სტუდენტს უფლება აქვს:

43.3.1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;

43.3.2. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

43.3.3. უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

43.3.4. გაწევრიანდეს სტუდენტურ გაერთიანებებში/საინიციატივო ჯგუფებში, რომლებიც უნივერსიტეტში სტუდენტთა უფლებების დაცვისა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თანამშრომლობენ უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრთან და ახდენენ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხების ინიცირებას;

43.3.5. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

43.3.6. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

43.3.7. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

43.3.8. საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რეგულაციებით განსაზღვრული წესით გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

43.3.9. საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდებისა და საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

43.3.10. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

43.3.11. ინიცირება მოახდინოს ან/და მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად;

43.3.12. პერიოდულად მოახდინოს სასწავლო კურსის/მოდულის განმახორციელებელი პირის შეფასება. ასევე, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში;

43.3.13. კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ უნივერსიტეტი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

43.3.14. უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის მიერ მისი ცოდნის სამართლიანი შეფასებით, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

43.3.15. საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე საგნიდან ამოწერის ან/და სადიპლომო ნაშრომის დაცვის მომდევნო აკადემიური წლისთვის გადატანის უფლებით, "საგნების გადატანისა და საგნიდან ამოწერის წესების განსაზღვრის" რეგულაციების შესაბამისად;

43.3.16. სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

43.3.17. განახორციელოს ამ წესით, უნივერსიტეტის სხვა რეგულაციებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

43.4. უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ქმნის შესაბამის პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

43.5. სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს

სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

43.6. უნივერსიტეტს ეკრძალება საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 44. სტუდენტის უფლებები დისციპლინური საქმისწარმოებისას

44.1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონმდებლობის გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით.

44.2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

44.3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

44.3.1 წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

44.3.2 დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

44.3.3 მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

44.3.4 მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

44.3.5 მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

44.4. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აქვს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს.

მუხლი 45. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი

45.1. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ზედამხედველობასა და დაცვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), რომელიც თავის საქმიანობას სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით ახორციელებს სტუდენტის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორის ან სხვა დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე.

45.2. საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორის მიმართვა სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა უფლებების დარღვევის შესაძლო ფაქტი უკავშირდება კოორდინატორის ქმედებას ან მის საქმიანობას.

45.3. ამ მუხლის 45.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია, დამოუკიდებლად მიმართოს ცენტრს.

45.4. სტუდენტთა უფლებების დაცვის კუთხით, ცენტრის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს:

45.4.1. უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის და მასზე რეაგირება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და რექტორისთვის სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენა ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად;

45.4.2. სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის მედიატორის (შუამავლის) ფუნქციის შესრულება.

45.5. ცენტრის ფუნქციებია:

45.5.1. სტუდენტთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის პერსონალისა და სხვა სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემის ზედამხედველობა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა;

45.5.2. საგანმანათლებლო საქმიანობა სტუდენტთა უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში;

45.5.3. პროგრამის კოორდინატორის ან ამ მუხლის 45.3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სტუდენტის მიმართვის განხილვა, სტუდენტთა უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები ან რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს;

45.5.4. როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით, პირდაპირი ან/და ირიბი დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

45.5.5. უფლებადარღვეული სტუდენტის უფლებების აღსადგენად უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალისთვის ან/და სტრუქტურულ ერთეულისთვის რეკომენდაციით მიმართვა, თუ არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც ადასტურებს უფლების დარღვევის ფაქტს.

45.6. ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია:

45.6.1. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან გამოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტი;

45.6.2. სამსახურებრივი საჭიროებისათვის განმარტების/დასკვნის მისაღებად მიმართოს შესაბამის ექსპერტს/სპეციალისტს, ან/და დაწესებულებას;

45.6.3. პროგრამის კოორდინატორის მიმართვისა და სტუდენტის განცხადების საფუძველზე უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან/და ადმინისტრაციულ

პერსონალს მიმართოს შუამდგომლობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, თუ ეს ღონისძიება მიზნად ისახავს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას;

45.6.4. შესაბამისი უფლებების დარღვევის ფაქტის თაობაზე რეკომენდაციით მიმართოს უნივერსიტეტის სადისციპლინო კომისიას, ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

45.7. ცენტრი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. ცენტრზე რაიმე ზემოქმედება და მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

45.8. ცენტრი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და კანონიერების პრინციპებით.

45.9. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს ცენტრს საქმიანობის განხორციელებაში და წარუდგინოს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი.

45.10. ცენტრი ვალდებულია დაიცვას უფლებამოსილების განხორციელების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოობა.

მუხლი 46. ცენტრის მიერ კოორდინატორის მიმართვის განხილვა

46.1. ცენტრი ვალდებულია განიხილოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორის ან 45-ე მუხლის 45.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სტუდენტის მიმართვა სტუდენტთა დარღვეული უფლებების ან/და კანონიერი ინტერესების შესახებ და მიიღოს ამ წესით გათვალისწინებული ზომები.

46.2. ცენტრი უფლებამოსილია სტუდენტის განცხადებასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით განახორციელოს შესაბამისი შემოწმება და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან ან/და პერსონალისგან გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტი.

46.3. უნივერსიტეტის პერსონალი, ასევე სტუდენტები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ ცენტრთან და სრულად მიაწოდონ მას მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტები, აგრეთვე მისცენ ცენტრს ახსნა-განმარტებები შემოწმების პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

46.4. ცენტრის მიერ სტუდენტის განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

მუხლი 47. ცენტრის მიერ სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით გამოყენებული ღონისძიებები

47.1. თუ ცენტრი დაადგენს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს, იგი უფლებამოსილია:

47.1.1. მიმართოს უფლებადამრღვევ პირს სტუდენტის უფლებების დარღვევის ფაქტის აღკვეთისა და დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, გარდა ამ მუხლის 47.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

47.1.2. თუ მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთა უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტი, მიმართოს უნივერსიტეტის დისციპლინურ კომისიას იმ პირთა

დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

47.1.3. სტუდენტის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები გაუგზავნოს უნივერსიტეტის იმ სტრუქტურულ ერთეულებს ან ადმინისტრაციულ პერსონალს ან/და სხვა პირებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

47.1.4. წინადადებით მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს თუ საქმის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები;

47.1.5. მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანოს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში.

47.2. უფლებადამრღვევი პირი ვალდებულია, ცენტრის მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს მისი მოთხოვნები და ეს აცნობოს ცენტრს და უფლებადარღვეულ სტუდენტს.

47.3. თუ უფლებადამრღვევი პირი არ ასრულებს ცენტრის მოთხოვნებს, ცენტრი უფლებამოსილია მიმართოს სადისციპლინო დისციპლინურ კომისიას.

თავი VI. სასწავლო კურსიდან ამოწერის, მისი ხელახლა გავლისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანის წესები

მუხლი 48. წესის მიზანი

48.1 წინამდებარე წესის მიზანია აკადემიური მოსწრების ფარგლებში სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსიდან ამოწერის, მის ხელახლა გავლასთან და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანასთან დაკავშირებული საკითხებისა და პროცედურების განსაზღვრა.

მუხლი 49. სასწავლო კურსიდან ამოწერა

49.1. სასწავლო კურსიდან ამოწერა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის გადატანას მომდევნო სემესტრ(ებ)ში, ამ წესის დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

49.2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით სტუდენტს უფლება აქვს, როგორც ამოეწეროს სასწავლო კურსიდან ასევე გადაირჩიოს იგი და მის ნაცვლად გაიაროს სხვა სასწავლო კურსი მიმდინარე ან შემდგომ სემესტრ(ებ)ში. მიმდინარე სემესტრში სტუდენტის მხრიდან არჩევითი სასწავლო კურსის გადარჩევისას, იგი სასურველ სასწავლო კურსზე დარეგისტრირდება თავისუფალი ადგილის არსებობის შემთხვევაში.

49.3. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს უფლება აქვს ამოეწეროს არაუმეტეს 2 სასწავლო კურსიდან (სავალდებულო ან/და არჩევითი სასწავლო კურსი). ამ შემთხვევაში სტუდენტს არ გაუფორმდება შეფასება აღნიშნულ სასწავლო კურსში და მიეცემა შესაძლებლობა სასწავლო კურსი გაიაროს შესაბამისი სემესტრ(ებ)ის განმავლობაში, დამატებითი ფინანსური ვალდებულების დაკისრების გარეშე. სასწავლო კურსიდან ამოწერის შემთხვევაში, სტუდენტი არ თავისუფლდება მიმდინარე სემესტრით გათვალისწინებული სწავლის საფასურის სრულად გადახდის ვალდებულებისგან.

49.4. სტუდენტს სასწავლო კურსიდან ამოწერის უფლება აქვს მისი დაწყებიდან პირველი 4 შეხვედრის/ლექციის განმავლობაში. ამ შემთხვევაშიც სტუდენტი თავისუფლდება შემდგომში აღნიშნული სასწავლო კურსის საფასურის განმეორებით გადახდის ვალდებულებისგან. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სასწავლო კურსიდან ამოწერა დაუშვებელია.

49.5. სასწავლო კურსიდან ამოწერის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება დაემატოს სასწავლო სემესტრი/ები, რომლის შესახებაც სტუდენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

49.6. სასწავლო კურსიდან ამოწერა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან/კოორდინატორთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ, სტუდენტის მხრიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 50. სასწავლო კურსის ხელახლა გავლა

50.1. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება არის შესაბამისი სასწავლო კურსის ხელახლა გავლის საფუძველი, კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.

50.2. სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების 33%-ის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს შესაბამის სასწავლო კურსში უფიქსირდება არადამაკმაყოფილებელი შეფასება (F) და ვალდებულია ხელახლა გაიაროს სასწავლო კურსი დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე, გარდა უცხო ენის შემსწავლელი საგნებისა, ასეთი სასწავლო კურსის შემთხვევაში აღნიშნული ზღვარი შეადგენს - 25 %-ს.

50.3. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლითაც უნდა დგინდებოდეს საკონტაქტო საათების სრულად 33%-ის საპატიო მიზეზით გაცდენა, განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დეკანთან შეთანხმებით, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

50.4. სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების 33%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტს შესაბამის სასწავლო კურსში უფიქსირდება არადამაკმაყოფილებელი შეფასება (F) და ვალდებულია ხელახლა გაიაროს სასწავლო კურსი/კურსები კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ, გარდა უცხო ენის შემსწავლელი საგნებისა, ასეთი სასწავლო კურსების შემთხვევაში, აღნიშნული ზღვარი შეადგენს - 25 %-ს.

50.5. სტუდენტს უფლება აქვს გავლილი სასწავლო კურს(ებ)ი გაიაროს ხელახლა, თუ არ არის კმაყოფილი მიღებული დადებითი შეფასებ(ებ)ით და სურს ახლიდან სასწავლო კურს(ებ)ის გავლა კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ.

50.6. სტუდენტს საბოლოო შეფასებად განესაზღვრება ის შეფასება, რომელსაც იგი მიიღებს სასწავლო კურსის ხელახლა გავლის შედეგად.

50.7. საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების (F), სტუდენტის მხრიდან შესაბამისი საგნის თავიდან გავლის სურვილის ან წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებული საგნის ხელახლა გავლის სხვა საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღით ადრე, წარუდგენს ინფორმაციას იმ სტუდენტ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც უნდა დაერიცხოთ კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების ღირებულება და ხელახლა უნდა გაიარონ სასწავლო კურს(ებ)ი.

50.8. წინამდებარე მუხლის 50.5 პუნქტის შესაბამისად, კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე გამოსცემს ბრძანებას, რომლის საფუძველზეც ფინანსური სამსახური ბრძანებით გათვალისწინებულ თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად არიცხავს შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტებით დაანგარიშებულ ღირებულებას.

50.9. სასწავლო კურსის ხელახლა გავლის შემთხვევაში, მისი საფასური დაანგარიშდება შემდეგი წესით: ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის ჯამური საფასური (აკადემიური პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად) იყოფა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე და მრავლდება შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტზე. სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დადგინდეს სასწავლო კურსის ხელახლა გავლის საფასურის დაანგარიშების განსხვავებული წესი.

50.10. სასწავლო კურსის ხელახლა გავლის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია 50.6 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების საფუძველზე, არაუგვიანეს შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე 3 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს შესაბამისი სასწავლო კურსის ხელახლა გავლის სრული საფასური. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისთვის დადგენილი საფასურის სრულად გადახდის შემდგომ, პროგრამის კოორდინატორის მიერ სტუდენტი რეგისტრირდება შესაბამის სასწავლო კურსზე. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი სასწავლო კურსის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტი არ დაიშვება ხელახლა გასავლელ სასწავლო კურსზე.

მუხლი 51. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანის წესი

51.1. სტუდენტს უფლება აქვს პირადი განცხადების საფუძველზე გადაიტანოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მომდევნო აკადემიური წლისათვის. სამაგისტრო ნაშრომის გადატანის ან უარყოფითი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს სამაგისტრო ნაშრომის გადატანის/ხელახალი დაცვის საფასური 500 ლარის ოდენობით. აღნიშნულ ვადაში სამაგისტრო ნაშრომის გადატანის/ხელახლა დაცვის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუჩერდება აქტიური სტატუსი.

51.2. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რომელსაც წინამდებარე მუხლის 51.1 პუნქტის მიხედვით გადატანილი აქვს სამაგისტრო ნაშრომი მომდევნო აკადემიური წლისთვის და ვერ მოახერხებს მის დაცვას შესაბამის წელს ან განმეორებით მიიღებს უარყოფით შეფასებას (F), სტუდენტი ვალდებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა გადატანის/ხელახალი დაცვის საფასური, რომელიც დაანგარიშდება შემდეგი წესით: ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის ჯამური საფასური იყოფა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე და მრავლდება შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის კრედიტებზე. აღნიშნულ ვადაში სამაგისტრო ნაშრომის გადატანის/ხელახლა დაცვის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუჩერდება აქტიური სტატუსი.

51.3. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი, არ დაიცავს სამაგისტრო ნაშრომს (ან მიიღებს უარყოფით შეფასებას (F)) აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ ვადაში და არ ისარგებლებს 51.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით, სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა დაცვისთვის სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, გადაიხადოს სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა გადატანის/ხელახლა დაცვის საფასური, რომელიც დაანგარიშდება შემდეგი წესით:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის ჯამური საფასური იყოფა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე და მრავლდება შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის კრედიტებზე.

51.4. სტუდენტი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის გამო ვერ ახერხებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ან/და მის დაცვას შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში, უფლებამოსილია, წერილობითი განცხადებით მიმართოს სკოლის დეკანს/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ან/და მისი დაცვის თარიღის გადატანა.

51.5. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს განიხილავს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების ან მისი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აკადემიური საბჭო მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

51.6. სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სამაგისტრო ნაშრომის გადატანის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი აწვდის უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურს.

51.7. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ან/და მისი დაცვის ახალ თარიღს აწესებს შესაბამისის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი სკოლის დეკანთან შეთანხმებით.

თავი VII. პლაგიატის თავიდან აცილების და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

მუხლი 52. რეგულირების სფერო და მიზნები

52.1. ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) პლაგიატის თავიდან აცილებისა და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.

52.2. ამ წესის მიზანია, დაამკვიდროს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილე პირების მიერ, სხვისი ნაშრომის პატივისცემისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სტანდარტები, რაც თავის მხრივ ემსახურება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცის შექმნას.

52.3. ეს წესი ვრცელდება, სტუდენტებზე (მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებზე), უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირებზე.

მუხლი 53. პლაგიატის დაუშვებლობა

53.1. პლაგიატი წარმოადგენს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყაროების ან/და მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

53.2. უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ეკრძალება პლაგიატის ჩადენა, მათ შორის სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად, აგრეთვე მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია, ფაბრიკაცია, კომპილაცია) და განადგურება. უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ეკრძალება სხვისი შრომის ექსპლუატაცია სხვის/სხვების მიერ გაწეული შრომის სათანადო აღნიშვნის გარეშე.

მუხლი 54. პლაგიატის შემთხვევის თავიდან აცილების მექანიზმები

54.1. უნივერსიტეტი პლაგიატის გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი რეგულაციების სტუდენტებისთვის გაცნობას და ხელმისაწვდომობას.

54.2. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია ინფორმირებულობის დონის ამაღლების და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებისთანავე განუმარტოს სტუდენტებს პლაგიატის მნიშვნელობა, მისი დაუშვებლობა, მისი აღმოჩენის მექანიზმები და მათზე რეაგირების პროცედურები.

მუხლი 55. პლაგიატის შემთხვევის გამოვლენის მექანიზმები

55.1. პლაგიატის გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტში გამოიყენება შესაბამისი ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობით ხდება ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე.

55.2. წინამდებარე მუხლის 55.1 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული პროგრამის გარდა, პლაგიატის გამოვლენა ხორციელდება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებისა და საძიებო სისტემების გამოყენებით, ასევე დაინტერესებულ პირთა მომართვის საფუძველზე.

55.3. უნივერსიტეტის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი ვალდებულია პლაგიატის შესაძლო შემთხვევის გამოვლენისას აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ან/და პროგრამის ხელმძღვანელს.

55.4. შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია, სადისერტაციო კომისია, რეცენზენტი ან კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, პლაგიატის შესაძლო ფაქტის გამოვლენისას, აცნობოს აღნიშნულის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ან პროგრამის ხელმძღვანელს.

მუხლი 56. პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები

56.1. სასწავლო კომპონენტში შუალედური ან დასკვნითი გამოცდების/შეფასების პერიოდში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება არადამაკმაყოფილებელი (F) შეფასება სასწავლო კურსში.

56.2. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, ხოლო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო განიხილავს მინიჭებული აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის საკითხს.

56.3. პლაგიატის შესაძლო ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია (რომლის მუშაობის წესს არეგულირებს უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი), რომელიც შეისწავლის აღნიშნული ფაქტს და პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში უფლებამოსილია გაატაროს შემდეგი სახის დისციპლინური ღონისძიება:

56.3.1. შენიშვნა;

56.3.2. საყვედური;

56.3.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

56.4. დისციპლინური კომისიის სხდომას სტუდენტის მხრიდან პლაგიატის გამოვლენის საკითხის განხილვისას შესაძლებელია დაესწროს და თავისი მოსაზრებები და მტკიცებულებები წარმოადგინოს ნაშრომის ავტორმა.

მუხლი 57. აკადემიური პერსონალის მხრიდან პლაგიატის ჩადენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები

57.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მონიტორინგი განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობაზე და რეაგირება მოახდინოს აკადემიური პერსონალის მხრიდან ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე.

57.2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით ნაშრომში პლაგიატის შესაძლო ფაქტის არსებობის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო. პლაგიატის ფაქტის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე.

57.3. აკადემიური საბჭოს მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი ქმნის დისციპლინურ კომისიას, რომელიც განიხილავს საკითხს და პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პლაგიატის ჩამდენი პირისთვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

57.4. იმ შემთხვევაში თუ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის აამოქმედებს ყველა შესაძლო მექანიზმს პირის სამეცნიერო/პროფესიული რეპუტაციის აღსადგენად.

57.5. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს ეთიკისა და ქცევის კოდექსის მე-8 მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი დისციპლინური სახდელის ფორმა.

მუხლი 58. დაკისრებული დისციპლინური სახდელის გასაჩივრება

58.1. პირი, რომელსაც პლაგიატის დადასტურების გამო დაეკისრა დისციპლინური სახდელი, უფლებამოსილია, მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაასაჩივროს სასამართლოში.

თავი VIII. სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები

მუხლი 59. რეგულირების სფერო და მიზნები

59.1. სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები განსაზღვრავს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მონიტორინგის მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის შეფასების სისტემასა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურებსა და მექანიზმებს.

59.2. წესის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაკავშირებული პირების ჩართულობით, სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის განხორციელება, საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, სრულყოფის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

59.3. სასწავლო პროცესის შეფასებისა და რეგულირების წესი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

59.3.1. სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების გამოყენების ციკლი;

59.3.2. სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებები და საშუალებები;

59.3.3. სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა.

მუხლი 60. სწავლების ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების ციკლი

60.1. სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების გამოყენების ციკლი შედგება 4 (ოთხი) ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისგან: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე:

60.1.1. **დაგეგმე** - სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შეფასების საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები, განმახორციელებელი პირები და ღონისძიებების განხორციელების სიხშირე;

60.1.2. **განახორციელე** - დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება ამ წესებით განსაზღვრული პირების ჩართულობითა და დადგენილი მეთოდოლოგიით, მათ შორის საველე სამუშაოებით;

60.1.3. **შეამოწმე** - ჩატარებული საველე და სხვა სამუშაოების შედეგების განხილვა-გაანალიზება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება, რაც ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის სკოლების პერსონალის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და სკოლების პერსონალის ჩართულობით;

60.1.4. **განავითარე** - გატარებული ღონისძიებების, მიღებული შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების

შემუშავება და სწავლების ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 61. სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებები და საშუალებები

61.1. სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

61.2. სწავლის ხარისხის შეფასება თავის მხრივ ემყარება შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

61.2.1. გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი;

61.2.2. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება;

61.2.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა; კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შეფასება;

61.2.4. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება;

61.2.5. სასწავლო პროცესის შიდა შეფასება;

61.2.6. ჯვარედინი შეფასება;

61.2.7. სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა.

მუხლი 62. გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი

62.1. გარე ფაქტორების შეფასება მოიცავს ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების კვლევას, რომელთა ანალიზი ემსახურება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობისა და ცალკეული კომპონენტების ხარისხის განსაზღვრასა და გაუმჯობესებას.

62.2. გარე ფაქტორების შეფასებასა და ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის პერსონალის, მათ შორის პროგრამის კოორდინატორებისა და ხელმძღვანელების ჩართულობით.

მუხლი 63. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება

63.1. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

63.2. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი ძირითადად ხორციელდება დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვით, მეორადი მონაცემების გადამუშავებითა და სხვა რესურსების გამოყენებით.

63.3. მეორადი მონაცემების გადამუშავება და სხვა რესურსების გამოყენება მოიცავს უნივერსიტეტის, სახელმწიფო ინსტიტუციების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შრომის ბაზართან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შესწავლასა და ანალიზს.

63.4. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის შეფასებას ახორციელებს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი უნივერსიტეტის პერსონალის, მათ შორის პროგრამის კოორდინატორებისა და ხელმძღვანელების ჩართულობით.

მუხლი 64. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა, კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შეფასება

64.1. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზისა და სტატისტიკური აღრიცხვის მიზანია კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა და მათი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მოთხოვნების შეფასება.

64.2. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვასა და დასაქმების მაჩვენებლის სტატისტიკურ აღრიცხვას.

64.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით უნივერსიტეტი ფოკუს-ჯგუფების ან სხვა მეთოდის გამოყენებით პერიოდულად ახორციელებს კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას.

მუხლი 65. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება

65.1. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სტუდენტთა მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ათვისების ხარისხის კონტროლი, რომელიც, მათ შორის მოიცავს, პროგრამის ან მისი კომპონენტის სირთულის ან/და სიმარტივის რელევანტურობის შეფასებას, სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ლიტერატურის სირთულის ან/და სიმარტივის შეფასებას, სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების ადეკვატურობის დადგენას, სტუდენტთა//პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო კომპონენტებში ჩართულობისა და სისტემაში არსებული სხვა შესაძლო ხარვეზების გამოვლენას.

65.2. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სკოლების პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით.

65.3. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, სხვა საშუალებებთან ერთად ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის

მონაცემთა ბაზის მეშვეობით, რომელშიც გაერთიანებულია შემაჯამებელი ინფორმაცია თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმდინარეობისა და შედეგების, მათ შორის სტუდენტების/პროფესიულ სტუდენტების შეფასებების შესახებ.

65.4. საუნივერსიტეტო ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზის მოხმარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 66. სასწავლო პროცესის შიდა შეფასება

66.1. სასწავლო პროცესის შიდა შეფასების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის შემოწმება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო პროცესში მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან.

66.2. სასწავლო პროცესის შეფასებას კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო შეფასების პროცესი ხორციელდება სკოლების პერსონალის, აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების ჩართულობით, პროფესიული პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, კოორდინატორისა და სხვა დაინტერესებულ პირების ჩართულობით.

66.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება ორი ძირითადი მიმართულებით:

66.3.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებითა და ანალიზით;

66.3.2. სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის (საგანი, მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასებითა და ანალიზით.

მუხლი 67. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების ინსტრუმენტები/მეთოდები

67.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ანალიზი შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

67.1.1. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროგრამის ხელმძღვანელის, კოორდინატორის სასწავლო კომპონენტის განხორციელებასა და შეფასებებზე დასწრებით;

67.1.2. პროგრამის კოორდინატორების/ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ პირთან მუდმივი უკუკავშირის წარმოებით;

67.1.3. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროფესორებისა და სხვა მოწვეული ლექტორების ლექციებსა და გამოცდებზე კოლეგიალური დასწრებით, რომელსაც, ასევე ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

67.1.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მონიტორინგით.

მუხლი 68. სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასების ინსტრუმენტები/მეთოდები

68.1. სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასებისა და ანალიზისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას, შემდეგი ინსტრუმენტები/მეთოდოლოგია:

68.1.1. გამოკითხვები;

68.1.2. ანგარიშგება.

68.1.3. საჭიროებისამებრ სხვა მეთოდების გამოყენება.

68.2. გამოკითხვა გულისხმობს, სტუდენტების (საჭიროების შემთხვევაში ასევე პროფესიული სტუდენტის) სასწავლო კურსის განმახორციელებლის და სხვა მხარეების გამოკითხვას საგანმანათლებლო პროცესთან და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს:

68.2.1. სტუდენტების მიერ ლექტორების ანონიმურ შეფასებას ამ წესის დანართი N2-ით დადგენილი ფორმის შესაბამისად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულისა და მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის შეფასება დანართი N3-ით;

68.2.2. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფარული წესით შეფასებას დანართი N4-ის შესაბამისად; დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი დანართების N16-ისა და N18-ის შესაბამისად.

68.2.3. პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტის შესავსები კითხვარი დანართი N5-ის შესაბამისად;

68.2.4. სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების კითხვარი დანართი N9-ის შესაბამისად;

68.2.5. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების კითხვარი დანართი N10-ის შესაბამისად.

68.3. ანგარიშგება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე მხარეების მიერ სხვადასხვა ანგარიშების ჩაბარებას, რაც მოიცავს:

68.3.1. სტუდენტებთან/პროფესიულ სტუდენტებთან განხორციელებული ფოკუს ჯგუფის ჩატარებას სახელმძღვანელო კითხვარი დანართი N6-ის და N7-ის შესაბამისად და სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის/პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერის მიერ შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენას;

68.3.2. აკადემიური პერსონალის მიერ შევსებულ პროდუქტიულობის შეფასების ყოველწლიურ ანგარიშგების ფორმას დანართი N8-ის შესაბამისად;

68.3.3. აკადემიურ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებთან დანართი N11 და N12-ის შესაბამისად ფოკუს ჯგუფის ჩატარებასა და სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის/პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერის მიერ შესაბამისი ანგარიშის მომზადებას;

68.3.4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით დამსაქმებლებთან დანართების N13-ის და N14-ის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) შესაბამისად ფოკუს-ჯგუფის ჩატარებასა და შესაბამისი პროგრამის

ხელმძღვანელის ან სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის/პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერის მიერ შესაბამისი ანგარიშის მომზადებას;

68.3.5. უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიერ პერიოდულად კურსდამთავრებულთა დასაქმების შესწავლას დანართი N15-ის და N17 შესაბამისად და ანგარიშის მომზადებას (დანართი N17-ის გათვალისწინებით წარმოდგენილი ანგარიშგება მომზადებულ უნდა იქნას სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით);

68.3.6. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ეფექტურად განხორციელების მიზნით პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის შეფასებას პროფესიული განათლების მასწავლებლის/დარგის ექსპერტის მიერ დანართი N18-ის შესაბამისად;

68.4. ამ მუხლით განსაზღვრულ შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას, კითხვარების შევსების უზრუნველყოფასა და ანგარიშგებების მომზადებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით უზრუნველყოფს სკოლის პერსონალი, პროფესიული პროგრამის შემთხვევაში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) პერსონალი.

68.5. ანგარიშგებებისა და კითხვარების მომზადებას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარდგენას, სკოლის პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტის ან სემესტრის დასრულების შემდგომ.

მუხლი 69. ჯვარედინი შეფასება

69.1. ჯვარედინი შეფასება გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების, უნივერსიტეტის სკოლების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის სასწავლო პროგრამების შეფასებას.

69.2. ჯვარედინი შეფასების დროს ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი კომპონენტები:

69.2.1. სასწავლო კურსის კურიკულუმი და სილაბუსები;

69.2.2. პროგრამის და მასში განხორციელებული ცვლილებების (არსებობის შემთხვევაში) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

69.2.3. ამ თავის 68-ე მუხლით განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების დადასტურება.

69.3. ჯვარედინი შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 70. სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი

70.1 წინამდებარე თავის 67-ე, 68-ე და 69-ე მუხლებით გათვალისწინებული შეფასების შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი სკოლის პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორების, საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის და სხვა პირების ჩართულობით (შემდგომში

სამუშაო ჯგუფი).

70.2 ანალიზის პროცესი მოიცავს:

70.2.1. სამუშაო ჯგუფის მიერ ამ თავის 67-ე, 68-ე და 69-ე მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაანალიზებას;

70.2.2. სხვადასხვა პროგრამებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის და პოზიტიური ფაქტორების დანერგვის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას;

70.2.3. ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს.

70.2.4. უნივერსიტეტის პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილებით სხვა კვლევების ჩატარებას.

70.3მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით, სამუშაო ჯგუფი იკრიბება სემესტრის დასრულებისას და გონივრულ ვადაში ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

მუხლი 71. შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

71.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ, სკოლის აკადემიური საბჭო შეფასების ანგარიშის განსახილველად იკრიბება, გონივრულ ვადაში, ისე რომ შესაძლებელი იქნეს ხარვეზების მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრა მომდევნო სემესტრის დაწყებამდე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას ცვლილებებთან დაკავშირებით.

71.2. სკოლის აკადემიური საბჭო აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე.

მუხლი 72. შიდა შეფასების ფორმები

72.1. სასწავლო ხარისხის შეფასების გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტის მთელ სისტემაში წინამდებარე წესის სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მტკიცდება შეფასების ფორმები შემდეგი დანართების სახით:

72.1.1. დანართი N1 - კოლეგიალური შეფასების ფორმა;

72.1.2. დანართი N2 - სტუდენტის მიერ ანონიმურად სასწავლო კურსის, ლექტორისა და თვითშეფასების კითხვარი;

72.1.3. დანართი N3 - პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულისა და მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება

72.1.4. დანართი N4 - მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ანონიმურად შეფასების კითხვარი;

72.1.5. დანართი N5 - პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტის მიერ შესავსები კითხვარი;

72.1.6. დანართი N6 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი / სადისკუსიო გეგმა

სტუდენტებისთვის;

72.1.7. დანართი N7 - სახელმძღვანელო კითხვარი/ სადიკსუსიო გეგმა პროფესიული სტუდენტებისთვის;

72.1.8. დანართი N8 - აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების ყოველწლიური ანგარიშგების ფორმა;

72.1.9. დანართი N9 - მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასების კითხვარი;

72.1.10. დანართი N10 - სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების კითხვარი;

72.1.11. დანართი N11 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი/სადისკუსიო გეგმა კურსდამთავრებულებისთვის;

72.1.12. დანართი N12 - სახელმძღვანელო კითხვარი/სადისკუსიო გეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის;

72.1.13. დანართი N13 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო კითხვარი /სადისკუსიო გეგმა დამსაქმებლებისთვის;

72.1.14. დანართი N14 - სახელმძღვანელო კითხვარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებლებისთვის;

72.1.15. დანართი N15 -კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი;

72.1.16. დანართი N16 - დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესის შეფასების კითხვარი (სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდგომ);

72.1.17. დანართი - N17 დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელისა და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესის შეფასების კითხვარი (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში);

72.1.18. დანართი - N18 დამსაქმებლების კითხვარი;

72.1.19. დანართი - N19 პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის შეფასების ფორმა.

თავი IX. სტუდენტთა სტიმულირების, ასევე სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, სტიპენდიებისა და ფასდაკლებების განსაზღვრის წესი

მუხლი 73. ზოგადი დებულებები

73.1. ეს წესი აწესრიგებს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამებზე, სტუდენტთა სტიმულირებისა და ხელშეწყობის მიზნით, ფასდაკლებებისა და სტიპენდიების განსაზღვრის საკითხებს.

73.2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა შესაძლებელია მოიპოვონ უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სხვადასხვა სახის ფასდაკლება. დაუშვებელია ფასდაკლებით/სხვადასხვა ფასდაკლებით განსაზღვრული ჯამური თანხა აღემატებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულებას, (მ.შ სტუდენტის მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ან/და სხვა წყაროდან მოპოვებული დაფინანსების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 74. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედი ფასდაკლებები

74.1. უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი ფასდაკლებები:

74.1.1. ფასდაკლება სახელმწიფო სასწავლო გრანტით/პირველი არჩევანის საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისთვის;

74.1.2. სარეიტინგო ფასდაკლება საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთათვის;

74.1.3. ფასდაკლება სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის;

74.1.4. სხვა ინდივიდუალური ფასდაკლებები.

მუხლი 75. ფასდაკლება სახელმწიფო სასწავლო გრანტით/პირველი არჩევანის საფუძველზე უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისთვის

75.1. უნივერსიტეტის სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი ფასდაკლება. უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულმა იმ პირველკურსელებმა, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, შესაძლებელია ამავდროულად

უნივერსიტეტისგან მიიღონ ერთჯერადი ფასდაკლება. ფასდაკლების მოცულობა სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით განისაზღვრება ინდივიდუალურად. ასევე, სკოლის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია დაადგინოს, თუ რა ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელ სტუდენტებზე გავრცელდება ერთჯერადი ფასდაკლება.

75.2. უნივერსიტეტის სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი ფასდაკლება უნივერსიტეტში ჩარიცხულ იმ პირველკურსელთათვის, რომლებმაც პირველ ნომრად აირჩეს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა. ფასდაკლების მოცულობა სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით განისაზღვრება ინდივიდუალურად.

75.3. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის 75.1 და 75.2 პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლებებიდან მხოლოდ ერთ-ერთი.

მუხლი 76. სარეიტინგო ფასდაკლება საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის

76.1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოქმედებს სარეიტინგო ფასდაკლება, რომელიც განისაზღვრება სტუდენტების აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე.

76.2. სარეიტინგო ფასდაკლების დაანგარიშების წესი, გაცემის პერიოდულობა, ფასდაკლების ოდენობა და სარეიტინგო ფასდაკლებასთან დაკავშირებით სხვა საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

76.3. აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე სტუდენტის წარდგინებას სარეიტინგო ფასდაკლების მინიჭების შესახებ, ახორციელებს შესაბამისი სკოლის დეკანი. წარდგინებას განიხილავს და შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 77. ფასდაკლება სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის

77.1. წინამდებარე მუხლის მიზანია, განსაზღვროს სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

77.2. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის ფასდაკლება მოქმედებს:

77.2.1 სოციალურად დაუცველ პირებზე;

77.2.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე;

77.2.3 ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე;

77.2.4 ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებზე/ოჯახის წევრებზე.

77.3. აღნიშნული ფასდაკლება ატარებს ერთჯერად ხასიათს და ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და პროფესიული ტესტირების საფუძველზე.

77.4. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, აღნიშნული ფასდაკლება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდის/საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო გრანტს/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს 100%-ის მოცულობით და წინამდებარე მუხლის 77.2 პუნქტით გათვალისწინებულ ჯგუფების წარმომადგენლებს შორის აქვთ ყველაზე მაღალი ქულა/შეფასება (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, უმაღლესი ქულა/შეფასება დაანგარიშდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით).

77.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, აღნიშნული ფასდაკლება ვრცელდება იმ პროფესიულ სტუდენტზე, რომელსაც წინამდებარე მუხლის 77.2 პუნქტით გათვალისწინებული ჯგუფების წარმომადგენლებს შორის, პროფესიული ტესტირების საფუძველზე, რეიტინგულ სიაში აქვს ყველაზე მაღალი ქულა/შეფასება.

77.6. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის განსაზღვრულ ფასდაკლების მოცულობას, ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, ადგენს შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო. ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

77.7. სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა, რომელიც განეკუთვნება წინამდებარე წესის მიხედვით განსაზღვრულ ჯგუფებს, ფასდაკლების მოპოვების მიზნით, უნივერსიტეტში სხვა სტანდარტულ დოკუმენტაციასთან ერთად, არაუგვიანეს 1 დეკემბრისა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

77.8.1. სოციალურად დაუცველმა პირებმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე არაუადრეს 2 თვისა;

77.8.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა №50/II (ასლი);

77.8.3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;

77.8.4. ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი.

77.9 ყოველი სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე, უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერი, რექტორს წარუდგენს ინფორმაციას იმ სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც წინამდებარე წესის შესაბამისად მოიპოვეს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის დადგენილი ერთჯერადი ფასდაკლება. წარმოდგენილი საფუძველზე გათვალისწინებით რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 78. სხვა ინდივიდუალური ფასდაკლებები

78.1. სხვა ინდივიდუალური ფასდაკლება შესაძლოა გავრცელდეს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

78.2. სხვა ინდივიდუალური ფასდაკლება შესაძლებელია გავრცელდეს:

78.2.1 უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებზე;

78.2.2 უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე;

78.2.3 დებზე, ძმებზე ან და-ძმებზე უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში;

78.2.4 სხვა ცალკეულ შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით.

78.3. ამ მუხლით გათვალისწინებული ფასდაკლების მოცულობა არ აღემატება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის ყოველწლიური საფასურის 10%-ს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც იხილავს და შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

78.4. სტუდენტის წარდგინებას წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ფასდაკლებაზე ახორციელებს სკოლის დეკანი. ხოლო, ფასდაკლების მიღებას და განსაკუთრებულ შემთხვევებში ფასდაკლების ოდენობას, განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველზე.

თავი X. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები

მუხლი 79. წესის მიზანი და მოქმედების სფერო

79.1. ამ წესის მიზანია განსაზღვროს ა(ა)იპ „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში“ (შემდგომში უნივერსიტეტი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების განხორციელების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის წესები.

79.2. ამ წესის რეგულირების სფერო მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, უნივერსიტეტში კრედიტების დაგროვების, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების, სასწავლო პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისა და პროფესიული დიპლომის გაცემის პროცედურებს.

79.3. უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/სტუდენტებზე, ასევე ვრცელდება „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“ დადგენილი იმ საკითხთა/ურთიერთობათა მომწესრიგებელი რეგულაციები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ თავით განსაზღვრულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის“ მარეგულირებელი წესით და არ ეწინააღმდეგება მას.

§1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირების დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები

80. რეგულირების სფერო

80.1. ეს წესი განსაზღვრავს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს.

80.2. უნივერსიტეტში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული მოდულური პროფესიული პროგრამებით.

80.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით.

80.4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენაა ქართული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 81. საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება და დამტკიცება

81.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება ხორციელდება, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების ადაპტირებით.

81.2. შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს.

81.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

81.3.1. პროფესიული სპეციალიზაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

81.3.2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;

81.3.3. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;

81.3.4. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;

81.3.5. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;

81.3.6. სწავლის შედეგის მიღწევების მეთოდები;

81.3.7. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

81.3.8. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;

81.3.9. პროგრამით გათვალისწინებული მოდულები;

81.3.10. სასწავლო გეგმა;

81.3.11. ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ;

81.3.12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები;

81.3.13. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შესახებ.

81.4. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდული უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

81.4.1. მოდულის სახელწოდება, სტატუსი, აღწერა, დაშვების წინაპირობები და სხვა ზოგადი ინფორმაცია;

81.4.2. სტანდარტულ ჩანაწერებს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მოდულის სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმების, კომპეტენციის პარამეტრების ფარგლების, შეფასების მიმართულებებისა და კრედიტების თაობაზე;

81.4.3. დამხმარე ჩანაწერები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სწავლებისა და შეფასების ორგანიზების, სასწავლო თემატიკის და სწავლება/სწავლის მეთოდების, შეფასების მეთოდების, მტკიცებულებების შესახებ. ასევე, ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის მოდულის განხორციელების მიდგომების, საათების განაწილების სქემის, სასწავლო რესურსის (მათ შორის ინვენტარს), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის რეკომენდაციებს სწავლების მიდგომების შესახებ და სხვა.

81.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 82. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება და გაუქმება

82.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

82.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს.

82.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

82.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები და არაეფექტურობა, როგორიცაა პროგრამის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა.

82.5. წინადადებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერის დასკვნის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო და წინადადების მოწონების შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს რექტორი.

82.6. იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან პროფესიული სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

განხორციელდება უნივერსიტეტის მობილობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

82.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმებას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ დადასტურებული შედეგების აღიარებით.

§2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები

მუხლი 83. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება

83.1. წინამდებარე წესი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა შერჩევისა და ჩარიცხვის პირობებს.

83.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მოთხოვნათა დაცვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით, რექტორის ბრძანების საფუძველზე.

83.3. უნივერსიტეტი აპლიკანტებისათვის უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისა და რეგისტრაციის პროცედურების, დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის პირობების, პროგრამის თავისებურებებისა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხორციელების ფორმა, დაფინანსების შესაძლებლობების) და პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის შესახებ.

83.4. პროფესიული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულება იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა.

83.5. უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას სასწავლო მომსახურების შესახებ, რომელსაც ერთი მხრივ, ხელს აწერს უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი).

83.6. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

83.7. „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N 147 ბრძანების შესაბამისად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე, პირმა, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ

ტერიტორიაზე, უნივერსიტეტს უნდა წარმოუდგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი.

მუხლი 84. აპლიკანტის რეგისტრაცია

84.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით, აპლიკანტი უნდა დარეგისტრირდეს სარეგისტრაციო სისტემა www.vet.emis.ge-ზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

84.2. აპლიკანტი უფლებამოსილია სარეგისტრაციო სისტემაში აირჩიოს არაუმეტეს 3 (სამი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 85. აპლიკანტთა შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

85.1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა შეფასებას ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ (შემდგომში ცენტრი) ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

85.2. პროფესიული ტესტირების თარიღი განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

85.3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტს მოეთხოვება ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა, რის შემდეგაც აპლიკანტის შედეგები აისახება მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

85.4. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტი უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იმ აპლიკანტთა ვინაობას, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობებით" გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 86. დამატებითი შეფასება (შიდა შერჩევა) და შესარჩევი და სააპელაციო კომისიის ფორმირების წესი

86.1. უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტთა დამატებითი შეფასების წესი და პირობები, მათ შორის, შესარჩევი და სააპელაციო კომისიის ფორმირების წესი, განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით დადგენილ ვადაში.

86.2. უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე აპლიკანტთა დამატებით შეფასებად შესაძლებელია განისაზღვროს გასაუბრება მიმღებ კომისიასთან.

86.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა მიერ ტესტირებაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და წარმოდგენილი საბუთების ანალიზის შემდგომ, აპლიკანტთა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება შესარჩევი კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან.

86.4. აპლიკანტს უფლება აქვს გაასაჩივროს დამატებითი შეფასების შედეგები, მისი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

86.5. აპლიკანტის საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. სააპელაციო კომისიაში იმ პირთა მონაწილეობა, რომლებიც უკვე იყვნენ შესარჩევ კომისიაში, დაუშვებელია.

86.6. შესარჩევი და სააპელაციო კომისია შესაძლებელია დაკომპლექტდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან და დარგის სპეციალისტებისგან, რომელთაგან მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს პარტნიორი დაწესებულების თანამშრომელი.

მუხლი 87. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

87.1. პირი უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხულად ითვლება და ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი დამატებითი შეფასების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმატებით გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანების საფუძველზე.

87.2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტთან რიგითობის გათვალისწინებით.

87.3. უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება:

87.3.1 აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;

87.3.2 დოკუმენტების წარდგენის ფორმა;

87.3.3 დოკუმენტების წარდგენის ვადები;

87.3.4 ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები;

87.3.5 ხელშეკრულების გაფორმების პირობები და ვადები;

87.3.6 სხვა საკითხები, რაც საჭიროა აპლიკანტთა პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხად.

87.4. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ

ოდენობის ადგილების დამატებას, რაც საჭიროა თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტთა ჩასარიცხად.

87.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდგომ, დარჩენილი ადგილების შევსების მიზნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნივერსიტეტი უფლებამოსილია ინფორმაცია შესავსები ადგილების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში განათავსოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

87.6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

მუხლი 88. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

88.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

88.1.1. პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება (მიზეზის მითითებით);

88.1.2. უცხო ქვეყანაში სწავლა, გარდა გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

88.1.3. სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

88.1.4. მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

88.2. ამ მუხლის 88.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მითითებული მიზეზის შინაარსი.

88.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა რეესტრში (evet.emis.ge) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

88.4. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

88.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

88.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე სწავლის გადახდილი საფასური.

88.7. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეცვლილი გარემოებები, მათ შორის უნივერსიტეტის სწავლის საფასური, შეჩერებული სტატუსის აღდგენის შემდეგ პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების/არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების საფუძველზე.

88.8. პროფესიული სტუდენტი აღდგენის შემდეგ სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, საიდანაც შეუჩერდა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი ან სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში).

88.9. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დაწესებულების რექტორის ბრძანება და განხორციელდება შესაბამისი მონაცემების შეტანა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (evet.emis.ge).

88.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რის შემდეგაც პირს ავტომატურად უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

88.11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

88.12. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის უნივერსიტეტი აღარ ახორციელებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზე სწავლის დროსაც მას შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია წინამდებარე წესის თავი X-ის 90-ე მუხლის 90.9 და 90.10 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

მუხლი 89. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

89.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

89.1.1 პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

89.1.2 საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

89.1.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

89.1.4 უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმების უხეში დარღვევა;

89.1.5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა.

89.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რაც სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლის საფუძველია. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს ის ფინანსური დავალიანება, რაც მას დაერიცხა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

89.3. იმ პირს, რომელსაც შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტაცია მისი პირადი საქმიდან, რის გაცემასაც, უზრუნველყოფს უნივერსიტეტი გონივრულ ვადაში.

89.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 90. პროფესიული სტუდენტის მობილობა

90.1. პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლა განიხილება როგორც გარე მობილობა, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების ფარგლებში ერთი პროფესიული პროგრამიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა განიხილება როგორც შიდა მობილობა.

90.2. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის შესაბამისი დაწესებულების პროფესიული სტუდენტი. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

90.3. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

90.4. პროფესიული სტუდენტი რომელსაც სურს გარე მობილობის წესით ჩაირიცხოს უნივერსიტეტში (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს, ასევე ის პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) რომელიც უკვე ჩარიცხულია უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამაზე და სურს შიდა მობილობის წესით ჩაირიცხოს სხვა პროფესიულ პროგრამაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს. შესაბამის განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

90.5. გარე მობილობით სტუდენტის განცხადების განხილვისას, უნივერსიტეტი უფლებამოსილია რეესტრიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში - სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

90.6. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

90.7. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს შიდა გამოცდის, დოკუმენტაციის განხილვის ან გასაუბრების წარმატებით გადალახვას.

90.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

90.8.1 უნივერსიტეტს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

90.8.2 უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

90.8.3 მობილობის მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

90.9. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის პროგრამის ფარგლებში.

90.10. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

90.11. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.

90.12. სწავლის შედეგების თავსებადობის აღიარება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება ინფორმაცია მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში - უნივერსიტეტის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

90.13. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის ოქმის სახით და გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

90.14. უნივერსიტეტი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს რეესტრში. რეესტრის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს რეესტრში.

§3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტების დაგროვების, სწავლის შედეგების შეფასების და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები

მუხლი 91. პროფესიული სტუდენტის სწავლის ხანგრძლივობა

91.1 სასწავლო პროცესის ვადები (დაწყება, დასრულება და არდადეგები) განისაზღვრება

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით სასწავლო წლის დაწყებამდე.

მუხლი 92. კრედიტების განაწილება

92.1. კრედიტი გამოხატავს ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).

92.2. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დატვირთვა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს, დამოუკიდებელ სამუშაოსა და სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურებას.

92.3. კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

მუხლი 93. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა/დატვირთვა

93.1. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 საათის განმავლობაში.

93.2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრებას, ასევე დამოუკიდებელ სამუშაოს.

93.3. კრედიტის მიღება ხდება მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებით.

მუხლი 94. პროფესიული სტუდენტის კრედიტის მინიჭება

94.1. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

94.2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

94.2.1 სწავლის შედეგების შეფასების დადასტურების გზით;

94.2.2 არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N188/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

94.2.3 ფორმალური განათლების გზით მიღებული აღიარების მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მუხლი 95. საწარმოო პრაქტიკის ობიექტის შერჩევა

95.1 პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2022 წლის N416 დადგენილებითა და წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს:

95.1.1. აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

95.1.2. მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

95.1.3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

95.2 პრაქტიკის ობიექტის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის/დარგის ექსპერტის მხრიდან წინამდებარე წესის დანართი N18-ის შესაბამისად, ხოლო მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის მივლინების შესახებ.

მუხლი 96. შუალედური შეფასება

96.1. შუალედური შეფასების მიზანია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნისა და სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

96.2. შუალედური შეფასების შედეგი არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების ან კრედიტის მინიჭების საფუძველს.

96.3. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა პროფესიული სტუდენტისთვის და წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

96.4. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%.

96.5. შუალედური შეფასების ჩატარების თარიღი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

96.5.1 შუალედური შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

96.5.2 თეორიული შეფასება;

96.5.3 პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

96.5.4 პროექტის პრეზენტაცია;

96.5.5 სიტუაციის განხილვა და ანალიზი;

96.5.6 სხვა რელევანტური მეთოდი.

96.6 პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება ექვემდებარება კომისიის მიერ ვალიდაციას.

96.7 იმ შემთხვევაში, თუ საპატიო მიზეზის გამო პროფესიული სტუდენტი არ მიიღებს მონაწილეობას შუალედურ შეფასებაში, იგი უფლებამოსილია შუალედური შეფასების

ჩატარებიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული წერილობით განცხადებით (საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულების დართვით) მიმართოს შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს და მოითხოვოს შუალედურ შეფასების ხელახლა დანიშვნა.

96.8 შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის წარმოდგენილ განცხადებას/დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

96.9 პროფესიული სტუდენტის დასაბუთებული წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მას უფლება აქვს დამატებითი ფინანსური ვალდებულების გარეშე მონაწილეობა მიიღოს დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში.

96.10 იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა განცხადება შუალედურ შეფასებაში არ მონაწილეობის საპატიოდ ჩათვლის შესახებ, დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში განმეორებით არ მიიღებს მონაწილეობას, მიუხედავად მიზეზისა, იგი ვალდებულია ხელახლა ორგანიზებული შუალედური შეფასების ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელახლა ორგანიზებული შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის საფასური - 500 ლარი და მონაწილეობა მიიღოს დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში.

96.11 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არასაპატიო მიზეზის გამო არ მიიღებს მონაწილეობას შუალედური შეფასებაში, ან მისი მიერ წარმოდგენილი განცხადება შუალედური შეფასებაში არ მონაწილეობის შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებული, იგი ვალდებულია შუალედური შეფასების ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელახლა ორგანიზებული შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის საფასური - 500 ლარი და მონაწილეობა მიიღოს დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში.

96.12 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არასაპატიო მიზეზის გამო, განმეორებით არ მიიღებს მონაწილეობას დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში იგი ვალდებულია ხელახლა ორგანიზებული შუალედური შეფასების ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელახლა ორგანიზებული შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის საფასური - 1000 ლარი და მონაწილეობა მიიღოს დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში.

96.13 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი წინამდებარე მუხლის 96.11; 96.12 და 96.13 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში არ გადაიხდის ამავე პუნქტებით დადგენილ საფასურს, მას ფინანსური დავალიანების საფუძველზე შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

96.14 იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ მესამედ ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში არ მიიღებს მონაწილეობას, მიიჩნევა, რომ იგი ვერ აღწევს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს და მას უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

96.15 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შუალედური შეფასება სავალდებულო წესით გავრცელდება იმ პროფესიულ სტუდენტზე, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს 2024 წლიდან ჩატარებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე.

მუხლი 97. შუალედური შეფასების კომისია

97.1. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება ხორციელდება კომისიის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

97.2. კომისია უნდა შედგებოდეს თავმჯდომარისგან და არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთა უმეტესობა შუალედური შეფასების ჩატარებამდე არ უნდა მონაწილეობდეს პროფესიული სტუდენტის სწავლების პროცესში.

97.3. კომისია ვალდებულია შეაფასოს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგები, რის შემდეგაც დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

მუხლი 98. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება

98.1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.

98.2. უნივერსიტეტი ვალდებულია საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაატაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

98.3. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

98.4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საკვალიფიკაციო გამოცდაში, მისი ჩაბარება წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას.

98.5. დაუშვებელია საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენა, გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში.

98.6. პროფესიული სტუდენტს, განმეორებით ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის უფლება წარმოეშობა მას შემდეგ რაც ის დაფარავს განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასურს, რომელიც შეადგენს - 500 ლარს.

98.7. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური გადაიხადოს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში. წინამდებარე პუნქტით დადგენილ

ვადაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას უჩერდება პროფესიულ სტუდენტის სტატუსი.

98.8. იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი არ გამოცხადდება განმეორებით ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაზე, იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ხელახლა ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში.

98.9. პროფესიული სტუდენტს, ხელახლა ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის უფლება წარმოეშობა მას შემდეგ რაც ის დაფარავს ხელახლა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასურს, რომელიც შეადგენს - 1000 ლარს.

98.10. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის საფასური გადაიხადოს ხელახლა ორგანიზებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში. წინამდებარე პუნქტით დადგენილ ვადაში საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას უჩერდება პროფესიულ სტუდენტის სტატუსი.

98.11. იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი არ მიიღებს მონაწილეობას ხელახლა ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში ან ვერ მიიღებს დადებით შეფასებას მიიჩნევა, რომ იგი ვერ აღწევს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს და მას უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

98.12. იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი ვერ მიიღებს დადებით შეფასებას საკვალიფიკაციო გამოცდაში იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განმეორებით ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში.

98.13. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც ვერ მიიღო დადებითი შეფასება საკვალიფიკაციო გამოცდაში განმეორებით ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის უფლება წარმოეშობა წინამდებარე მუხლის 98.5 და 98.6 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

98.14. შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დადებით შეფასება განმეორებით ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში იგი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მესამედ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში.

98.15. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც ვერ მიიღო დადებითი შეფასება განმეორებით ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში, მესამედ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის უფლება წარმოეშობა წინამდებარე მუხლის 98.7 და 98.8 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

98.16. იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღებს დადებით შეფასებას საკვალიფიკაციო გამოცდაში მიიჩნევა ან არ გამოცხადდება მეორედ/მესამედ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდაზე, მიიჩნევა, რომ იგი ვერ აღწევს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს და მას უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

98.17. იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება საკვალიფიკაციო გამოცდას, მან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების დღიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს

შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს და თან დაურთოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

98.18. შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი წარმოდგენილ განცხადებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას შეისწავლის მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

98.19. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადება დაკმაყოფილდა და მას გაცდენა ჩაეთვალა საპატიოდ, დეპარტამენტის ადმინისტრაცია ნიშნავს ხელახალი საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღს.

98.20. ხელახალი საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხ(ებ)ი/თემატიკა არ უნდა იყოს უკვე ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის იდენტური.

98.21. დაუშვებელია საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენა ორჯერ, გაცდენის მიზეზის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პროფესიულ სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება გამოცდაში.

98.22. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტ(ებ)ი ექვემდებარება ვალიდაციას საკვალიფიკაციო კომისიის მონაწილეობით.

98.23. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მომზადებული ნაშრომი ინახება უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში

მუხლი 99. საკვალიფიკაციო კომისია

99.1. პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

99.2. საკვალიფიკაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთა უმეტესობა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არ უნდა მონაწილეობდეს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. კომისიაში სავალდებულოა იყოს დარგის წარმომადგენელი ერთი წევრი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის თანამშრომელი.

99.3. კომისია ვალდებულია შეაფასოს საკვალიფიკაციო გამოცდა და მიაწოდოს უნივერსიტეტის რექტორს სარეკომენდაციო დასკვნა პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

99.4. კომისიის გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

99.5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, რა შემთხვევაშიც რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

99.6. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ უნდა შედიოდნენ ის პირები, რომლებიც მანამდე მონაწილეობდნენ საკვალიფიკაციო გამოცდაში. სააპელაციო კომისია საჩივრის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო კომისიის მიერ

მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ან ხელახალი შეფასების განხორციელების შესახებ.

მუხლი 100. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

100.1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ.

100.2 პროფესიული სტუდენტი ფასდება მოდულით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

100.3 შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

100.4 შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომლებიც ემსახურებიან პროფესიული სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას.

100.5 ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.

100.6 განმავითარებელი შეფასება არ აისახება პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასების შედეგებზე. განმავითარებელი შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის მიღწევების განვითარება. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება აირჩიოს განმავითარებელი შეფასების ფორმა.

100.7 განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

100.7.1 სწავლის შედეგი დადასტურდა;

100.7.2 სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

100.8 განმსაზღვრელ შეფასებაში უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში ან შეფასებაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება.

100.9 განმეორებითი შეფასების თარიღს განსაზღვრავს დეპარტამენტის ადმინისტრაცია შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით. პროფესიულ სტუდენტს განმეორებითი შეფასებისას არ წარმოეშობა დამატებითი ფინანსური ვალდებულება.

100.10 იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი განმეორებით შეფასებაში მიიღებს უარყოფით შეფასებას ან არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, მიიჩნევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ მიაღწია მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და მას მოდული ხელახლა აქვს გასავლელი შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდის შემდგომ.

100.11 იმ შემთხვევაში თუ, პროფესიული სტუდენტი საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება მოდულით გათვალისწინებულ შეფასებას, მან შეფასების ჩატარების დღიდან არაუგვიანეს

2 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს და თან დაურთოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

100.12 შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი წარმოდგენილ განცხადებას და მასზე თან დართულ დოკუმენტაციას შეისწავლის მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში და შესაბამისი მოდულის პროფესიულ მასწავლებელთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

100.13 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადება დაკმაყოფილდა და მას გაცდენა ჩაეთვალა საპატიოდ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით ნიშნავს ხელახალი შეფასების თარიღს.

100.14 ხელახალი შეფასების საკითხები არ უნდა იყოს უკვე ჩატარებული შეფასების იდენტური.

100.15 დაუშვებელია მოდულით გათვალისწინებული ერთი და იგივე შეფასების გაცდენა ზედიზედ ორჯერ, გაცდენის მიზეზის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ დაადასტურა შესაბამისი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და მას მოდული ხელახლა აქვს გასავლელი შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდის შემდგომ.

100.16 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ (რომელსაც პირველ შეფასებაზე მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება) წარმოდგენილი განცხადება არ დაკმაყოფილდება, მიიჩნევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ მიაღწია მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

100.17 მოდულის საკონტაქტო საათების 33%-ის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს მოდული დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე, გარდა უცხო ენის შემსწავლელი მოდულისა, ასეთი მოდულის შემთხვევაში აღნიშნული ზღვარი შეადგენს 25 %.

100.18 მოდულის საკონტაქტო საათების 33%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სრულად გაიაროს მოდული კრედიტებით დაანგარიშებული შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ, გარდა უცხო ენის შემსწავლელი მოდულისა, ასეთი მოდულის შემთხვევაში აღნიშნული ზღვარი შეადგენს 25 %.

100.19 განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება ხორციელდება პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერთან შეთანხმების საფუძველზე.

100.20 შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, პროფესიული სტუდენტის

საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შედეგების გადაცემა დეპარტამენტის ადმინისტრაციისთვის.

100.21 კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო ზოგადი და პროფესიული მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

100.22 შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერს.

100.23 პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის ვალდებულებას.

მუხლი 101. ვერიფიკაციის მექანიზმი

101.1. ვერიფიკაცია წარმოადგენს უნივერსიტეტში გამოყენებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს.

101.2. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

101.2.1 შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

101.2.2 პროცესის ვერიფიკაცია;

101.2.3 მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

101.3. ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით.

101.4. უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანების საფუძველზე.

101.5. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის წევრები.

101.6. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ).

101.7. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება რისკ-ფაქტორების ანალიზის გათვალისწინებით.

101.8. ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს:

101.8.1 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან ფიქსირდება ხშირი მომართვიანობა სწავლის შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით;

101.8.2 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტთა 50%-ს ან მეტს არ უფიქსირდება მოდულის ფარგლებში დადასტურება;

101.8.3 შემთხვევითი შერჩევის პრინციპით;

101.8.4 სხვა ობიექტური მიზეზებით.

101.9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლის შემდგომი რეაგირების მიზნით.

101.10. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს მიეცემა გონივრული ვადა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

მუხლი 102. მოთხოვნები მტკიცებულების მიმართ

102.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების პროცესში აფასებს წარმოდგენილი მტკიცებულების სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან შესაბამისობას და განსაზღვრავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება.

102.2. პროფესიული განათლების მასწავლებელმა მტკიცებულების შეფასების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, ავთენტურობის პრინციპების დაცვითა და მოდულის სპეციფიკაციით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 103. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესები

103.1. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების გაფორმება ხორციელდება უწყისით, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (PORTAL.GIPA.GE).

103.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებები დაცულია და ინახება სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად.

მუხლი 104. პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრება

104.1 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს გააცნოს სწავლის შედეგის შეფასება, შეფასების ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

104.2 სწავლის შედეგის შეფასების გაცნობიდან 3 სამუშო დღის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის (შემდგომ დეპარტამენტის ხელმძღვანელი) სახელზე წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით.

104.3 საჩივარი უნდა შეიცავდეს არგუმენტირებულ დასაბუთებას, თუ რატომ არ ეთანხმება პროფესიულ სტუდენტი მიღებულ შეფასებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს წარმოდგენილი საჩივარი, გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარე.

104.4 საჩივრის განხილვის მიზნით დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საჩივრის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, განსაზღვრავს იმ პროფესიული განათლების მასწავლებელს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც

ვალდებულია, 5 სამუშო დღის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის (როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული) შეფასების მტკიცებულებები და საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს განმეორებითი შეფასება.

104.5 პროფესიული განათლების მასწავლებელი ან დარგის სხვა ექსპერტი უფლებამოსილია ძალაში დატოვოს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება ან მიღებული შეფასება შეცვალოს სტუდენტის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

104.6 ადმინისტრაცია ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (მტკიცებულება), რომელიც ექვემდებარება შეფასებას, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეინახოს ნაშრომის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე.

104.7 პროფესიულ სტუდენტს გასაჩივრების შედეგები უნდა ეცნობოს საჩივრის წარდგენიდან 8 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 105. მიღებული განათლების აღიარების წესი

105.1 საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სპეციალური კომისიის მიერ, მიღებული ცოდნისა და უნარების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით.

105.2 თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება აღიარებულ იქნას უნივერსიტეტის მიერ.

105.3 თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგები, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების იდენტურია, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

105.4 არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებისა და შესაბამისი დარგის პროფესიის სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედარების გზით შესაძლებელია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება.

105.5 არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2011 წლის 3 თებერვლის N8/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

105.6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობების დაძლევის გარეშე.

105.7 პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

§4 პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ინსტრუქცია

მუხლი 106. კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა

106.1 უნივერსიტეტი პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეული დონის შესაბამის სწავლის შედეგებს.

106.2 კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გავლილი მოდულები, შეფასებები, ასევე სწავლის შედეგები.

106.3 პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესაბამისობას კვალიფიკაციის მოთხოვნებთან, ამოწმებს და ადასტურებს რექტორის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო კომისია.

106.4 2024 წლიდან მიღებულ პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

მუხლი 107. კვალიფიკაციის მინიჭება

107.1 საკვალიფიკაციო კომისია შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს და ადგენს დაძლეულ იქნა თუ არა სწავლის შედეგები.

107.2 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად.

107.3 უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენ-ტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

107.4 დაწესებულების რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმი.

107.5 პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი.

107.6 პირს, რომელმაც ვერ ან არ დაასრულა/დაადასტურა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შედეგები სრულად, მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა სერტიფიკატი იმ მოდულებზე, რომელთა მისაღწევი შედეგებიც სრულადაა დადასტურებული.

107.7 პირს, რომელმაც გაიარა მხოლოდ ცალკეული მოდული, მოდულით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების დადასტურების საფუძველზე გადაეცემა სერტიფიკატი.

§5 პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი

მუხლი 108. პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი

108.1 სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის დაწესებულებას ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პირები/პროფესიული განათლების

მასწავლებელი.

108.2 პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

108.3 IV დონის კვალიფიკაციის მფლობელ პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V დონის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

108.4 პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ, უნივერსიტეტმა შესაძლოა დააწესოს დამატებითი მოთხოვნები შესაბამისი პროფესიის სტანდარტით.

108.5 პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება აქვს:

108.5.1 მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმართვაში დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

108.5.2 განახორციელოს თეორიული და პრაქტიკული სწავლება;

108.5.3 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლების მეთოდები და საშუალებები;

108.5.4 განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით, დაწესებულების დებულებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებები.

108.6 პროგრამის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:

108.6.1 დაიცვას ამ დებულებისა და დაწესებულების სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

108.6.2 შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 109. პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნა

109.1.1 პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

109.1.2 პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით უნივერსიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს:

109.2.1 CV;

109.2.2 უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

109.2.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

109.2.4 საჭიროებისამებრ სხვა დოკუმენტაცია.

109.3 კანდიდატის მიერ, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების

მასწავლებლის თანამდებობას დაკავება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე ან კონკურსის გარეშე უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ან/და ხელშეკრულებით.

მუხლი 110 . პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობიდან განთავისუფლება

110.1 პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

110.1.1 პირადი განცხადება;

110.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლა;

110.1.3 შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტების დარღვევა;

110.1.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

110.1.5 კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

110.2 პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 111. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან სამართლებრივი ურთიერთობა

111.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების/მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

111.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა და სამუშაო პერიოდი განისაზღვრება ინდივიდუალურად, რომელიც შეესაბამება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასა და საქართველოს შრომის კოდექსს.